ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 28 ოქტომბერი 2003 № 204 (1975) | ფასი 50 თეთრი


RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი – 22 ნოემბერი

## ურუგვაი: ლელოების შანსი
## ხარები და ჯორჯია
### ქართველების ოპტიმალური ოპტიმიზმი



REUTERS

დღეს ნაშუადღევს ქართველი „ლელოები" ბოლოსდა გავლენ ავსტრალიელი მაყურებლის წინ და თავიანთ პირველ მსოფლიოს თასზე უკანასკნელად გათქერენ მწვანე კონტინენტის ბიბინა ბალახს. ცოტა უცნაურია და, ქართველებისა და რაგბიში მათსავით ნახევრად მოყვარული ურუგვაელების მატჩი სავსე ტრიბუნების ყრიამულში ჩაივლის. ქართული ბანაკიდან შემოთვალეს, დაახლოებით 40 ათასი ბილეთი უკვე გაიყიდა და საშუალო სიდიდის „ოზი სთედიუმი" გაივსებაო. ხალისიანი ოზები ალბათ ორივე აუტსაიდერს უქომაგებენ, სამხრეთ აფრიკასთან ამხნევებდნენ „ჯორჯიას" და პირში წყალს რალა ურუგვაისთან ჩაიგუბებენ.

უცნაურია ისიც, რომ ამ მატჩში ფავორიტად შეირაცხა საქართველო, რომელმაც მსოფლიოს თასის სამ ნაგებულ თამაშში გაიტანა ერთადერთი ლელო და გაუშვა ოცდახუთი. უბრალოდ, ბორჯღალოსნებს სხვებზე მეტად გაუმართლათ და ჯგუფში მონსტრებთან ერთად მათზე სუსტი მეტოქეც შეხვდათ. ასე შეფასდა წყვილი მატჩისწინა განსჯებში, თორემ „ლელოებსა" და ურუგვაელ „ხარებს" შორის სუსტი და ძლიერი თამაშში გამოჩნდება. „ლელოებს" სჭირდებათ ამ თამაშის მოგება და სხვა შედეგი მათაც და მათ ქომაგსაც იმედს გაუცრუებს. ეს ის თამაშია, რომლის მოსაგებადაც ქართველებმა ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარეს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

## ვიტ ჯორჯიას წვიმამ წაუჩოლოქა
### თბილისში გაიდარა, გორში კაიდარა



დილა — ლოკომოტივი 1:0. იოსებ გრიშიკაშვილმა ალეკო კაიდარაშვილის დარტყმულ პენალტს თვალი და ხელი გააყოლა

საქართველოს 15 ჩემპიონატი პირველი ლიგა პირველი ეტაპი

# 11 ტური

თბილისი. 25 ოქტომბერი. 16 საათი. შევარდენი. 100 მაყურებელი

## ოლიმპი 0:0 ამერი

ოლიმპი: ივარდავა, გოგიშვილი, უსენაშვილი, ცქვიტაია, ბერიძე, ყველაშვილი, ჯაფარიძე, ზ. კვახაძე (ერგემლიძე 80), გენაძე, ხოხელი (ფლენტი 70), გ. ნოდ. ჭელიძე
მწვრთნელი: ჯონი ჯანელიძე

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ჩიხრაძე, ელბაქიძე (ბერიანიძე 72), ვერემჩუკი, გარუჩავა, განუგრავა, მჭედლიშვილი, წინამძღვრიშვილი (ბ. გოცირიძე 46), რუსია
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

მსაჯები: ა. შალამბერიძე; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ა. კრიჭაშვილი

# ნუ ენდობით ბურთს!

პაპუნა კედია

რალაცნაირი თამაში იყო... ვერ იტყოდი, ლიდერი და ლიგის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი მეთორმეტე ადგილზე მყოფ, სტაბილურობას მოკლებულ სტუმარს გასაბდღვნელად ეცაო. „ოლიმპი" თითქოს უფრო ჩასაფრებულ სტილს ამჯობინებდა, ენერგიულ შეტევებს, გამწვავებაზე თამაშს არ ეშურებოდა და მოწინაალმდეგის შეცდომებს ელოდა. უნდა ითქვას, რომ მატჩისთვის გამოყოფილ საათნახევარში სტუმრებმა (ისე კი, მოგეხსენებათ, ორივე გუნდი თბილისისაა) მასპინძლებს ერთი-ორჯერ გაუმართლეს მოლოდინი, თუმცა, რომ ვთქვათ, იმ დღეს დაცვაში „ამერის" ხარვეზებს თვლა არ ჰქონდაო, მოვიტყუებით. მოკლედ, „ამერის" იმდღევანდელ შეცდომებზე შეიძლება ასე ითქვას: ხდება ხოლმე! ყოველ შემთხვევაში, „ყვითლებს" გოლი არ გაუშვიათ, რაც ბევრწილად მარჯვენა მცველის, ამირან კედელაშვილის გამოჩენასთან იყო დაკავშირებული. აქამდე მას ტრავმის გამო სამი მატჩი გაუცდა.

არ გაუშვიათ, მაგრამ არც გაუტანიათ, არადა, შეძლოთ! პირველ ტაიმში, მაგალითად, მამუკა რუსია ერთხელ დავით მჭედლიშვილის ჩაწოდებულს ვერ მიწვდა, თავი რომ მიერტყა და უეჭველი გოლი შეეგდო, მეორედ კი დიმიტრი ვერემჩუკის პასით შევიდა ივარდავასთან პირისპირ, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ აჯობა.

მომენტები მეორე ტაიმშიც იყო, რომელთაგან ერთი... არა, რა გააკეთა იმ მომენტში ბურთმა, ამ წერილის ავტორისთვის გაუგებარი დარჩა. 83-ე წუთის ამბავს მოგახსენებთ, როდესაც „ამერის" მრავალსვლიანი, პოზიციური შეტევა ბოლო ფაზაში ასე შევიდა: რუსია მარცხენა მხრიდან შეიჭრა საჯარიმოში, სადაც ეგრეთ წოდებული „პრასტრელი" მოიწადინა, მაგრამ ბურთი „ოლიმპის" მცველს მოხვდა და სწორედ ის ფოკუსი გააკეთა, ზემოთ რომ მოგახსენეთ: კარისკენ გაფრენილი ბურთი ძელს მიეხახუნა, შემდეგ კარის ხაზზე დაეცა და ყველას გოლი რომ ეგონა, უკან გამობრუნდა. ყველას გოლი ეგონაო, ვამბობთ და გოლი ეგონა „ამერის" მარჯვენა ნახევარმცველს დავით მჭედლიშვილსაც, რომელიც კარის ხაზთან სწორედ ფეხის მისაკვრელად იყო მივარდნილი, მაგრამ ბურთისგან ასეთ ღალატს არ ელოდა თუ რა იყო, აღარ მიჰკრა, ის კი უსინდისოდ უკან გამობრუნდა. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოდის: ბურთის ნდობა არ შეიძლება, ამიტომაც კარის წინ რომ დაინახავ, უნდა მისცხო!

კეთილი, ყველაზე უცნაური ეპიზოდიც აღვწერეთ, მაგრამ იმ მოთამაშეებზე არ გვითქვამს, ვინც თვალში მოგვხვდა. „ოლიმპიდან" ეს არის მტკიცე მეკარე ივარდავა, რომელმაც ზემოთ აღწერილი მომენტის გარდაც გამოავლინა თავისი ოსტატობა და უშფოთველობა, ხოლო „ამერიდან", ალბათ, მაინც ვერემჩუკი, რომელმაც ამ დღეს პასების დარიგება და შეტევების გამწვავება ითავა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 14:4 | 21 |
| ოლიმპი | 9 | 6 | 3 | 0 | 18:7 | 21 |
| სამგურალი | 10 | 5 | 4 | 1 | 13:6 | 19 |
| გორდა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 17 |
| ცხინვალი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:4 | 16 |
| ჩიხურა | 10 | 5 | 0 | 5 | 13:12 | 15 |
| თსუ | 10 | 4 | 2 | 4 | 18:11 | 14 |
| ლოკომოტივი 2 | 10 | 4 | 1 | 5 | 7:11 | 13 |
| ამერი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:12 | 13 |
| ივერია | 10 | 3 | 4 | 3 | 8:13 | 13 |
| დინამო 2 | 10 | 3 | 3 | 4 | 15:13 | 12 |
| მილანი | 10 | 3 | 3 | 4 | 5:7 | 12 |
| გურია | 10 | 3 | 2 | 5 | 9:12 | 11 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 10 | 2 | 5 | 3 | 6:8 | 11 |
| ლუაა | 10 | 3 | 1 | 6 | 7:15 | 10 |
| მეტალურგი | 10 | 0 | 0 | 10 | 4:32 | 0 |



ეს ის ეპიზოდია, ბურთმა რომ ამერელი მჭედლიშვილი მოატყუა და „ოლიმპის" მეკარე ივარდავას ჩაბარდა


# ყურადღება!

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66


საქართველოს 15 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი

# 14 ტური

მცხეთა. 27 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი. 300 (ტევადობა 3 000)

## მცხეთა 2:2 მერცხალი

0:1 ჭინჭარაული (16), 0:2 გაბედავა (23), 1:2, 2:2 ავალიანი (36, 52)

მცხეთა: თ. ოდიკაძე, ჯაფარიძე, ჩაჩუა, თირქია, რაქვიაშვილი, ლ. ქებაძე, ხიდაშელი (არეშიძე 75), ავალიანი, ბ. ნოზაძე (სუბელიანი 85), ლ. ჩხაიძე, პარამონოვი (გვენცაძე 75)
სათადარიგონი: ცინაძე; მუშუქია, კირვალიძე, ძაგნიძე
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

მერცხალი: გია გოგუა, კობაური, ჯაბუა, ჭალიაშვილი, გ. ილურიძე, გ. ნივნივაძე, მეგვანაძე, ჭინჭარაული, გაბედავა (ასკურავა 80), მებონია, კალანდაძე
სათადარიგონი: როხაძე; ჩაჩუა, ბართია, სიამაშვილი
მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი

გაფრთხილება: ჭალიაშვილი (48)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ი. კახიანი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: მ. კვარაცხელია

ჯარიმა: 5-1; კუთხური: 4-2; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 11-4; თამაშგარე: 0-5

# ოზურგეთმა მცხეთას ჯვარი დაუსვა

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

მცხეთელთა პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი, „ნაციონალური მოძრაობის" წევრი ვლადიმერ გუცაევი, როგორც ჩანს, ისეა ჩაბმული წინასაარჩევნო კამპანიაში, რომ „მცხეთისთვის" ვერ იცლის — გუცაევი გუშინაც არ ყოფილა „არმაზზე" და გუნდმაც ვერ მოიგო, თუმც „მცხეთამ" ორი ბურთი ამოქაჩა და ეგაც საქმეა.

პირველი სახიფათო იერიში გურულების იყო. ვლადიმერ გაბედავამ მარჯვნიდან ჩააწოდა თამაზ ოდიკაძის კარის გასწვრივ, მაგრამ მალხაზ ჭინჭარაულმა ხელსაყრელი პოზიციიდან ცარიელ კარში ვერ გაიტანა — „მცხეთას" ერთ-ერთმა მცველმა კუთხურზე მოიგერია ბურთი. ნაკუთხურალზე კი თემურ რაქვიაშვილმა თავით კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — ოდიკაძემ იყოჩაღა და ავტოგოლი არ გამოვიდა.

მოკლედ, მატჩის დასაწყისი „მერცხალის" იყო და ოზურგეთელებს გარჯა მალე დაუფასდათ. ლევან ჩაჩუა მეკარეს აწვდიდა ბურთს, მაგრამ ჭინჭარაულმა ჩაჭრა გადაცემა, გასცდა ოდიკაძეს და 0:1.

მცხეთელებს ეს გულზე შემოეყარათ და მძლავრად შეუტიეს. დიმიტრი პარამონოვს გია გოგუამ აუღო, დამატებაზე ჩაჩუამ სცადა ბედი, მაგრამ კვლავ „მერცხალის" მეკარემ იმარჯვა.

„მერცხალი" ყრუ დაცვაში არ ჩამჯდარა და ერთ-ერთი კონტრშეტევისას კუთხური მოინადირა. გაბედავამ ჩააწოდა და საჯარიმოდან უკუგდებული ბურთი კვლავ მას მიუვიდა, „ჯვარიმ" (ასე უწოდებენ გაბედავას ახლობლები) ყველასთვის მოულოდნელად ძლიერად და უცნაური ტრაექტორიით შეაბზრიალა ბურთი ოდიკაძის კარის შორეულ კუთხეში.

მაგრამ „მცხეთა" არ შედრკა, უფრო მეტი მონდომებით შეუტია და გოლსაც გამორჩა — ბექა ნოზაძემ მარცხენა ფლანგიდან პარამონოვს უპასა, მან ზურაბ ავალიანს დაუგორა ბურთი და 1:2.

მალე ოზურგეთელი მცველების უხეში შეცდომის შედეგად ნოზაძე ოდნავ მახვილი კუთხიდან პირისპირ აღმოჩნდა ოდიკაძესთან, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა და დამატებაზე პარამონოვიც უხეიროდ გაისარჯა.

სულ ცოტა ხანში პაპუნა ხიდაშელმა დაარტყა ლამაზად და ღონივრად, მაგრამ ოდიკაძემაც ბრწყინვალედ ითამაშა და „ცხრიანიდან" ჩამოხსნა ბურთი.

მეორე ტაიმი „მცხეთას" შლეგი შეტევებით დაიწყო, „მერცხალს" ერთობ უჭირდა სტუმართა გამკლავება და ანგარიშიც გათანაბრდა — მეტოქის საჯარიმო მოედნის მისადგომთან პარამონოვმა ავალიანს გადააწოდა ბურთი, რომელმაც მოხდენილად გაიგდო ის და ოდიკაძეს დაბალ, შორეულ კუთხეში გაუტანა.

ამის შემდეგაც „მცხეთა" ბატონობდა „არმაზზე", მაგრამ „მერცხალმა" ზეწოლას გაუძლო — 10-15 წუთის შემდეგ მასპინძლები ისე ფხიანად ველარ უტევდნენ და საგოლე მომენტი ვერ შექმნეს. „მერცხალს" კი კონტრშეტევებზე ორჯერ ჰქონდა შანსი — ჯერ გაბედავას კარგი პასით გოჩა წივწივაძემ ვერ გაიტანა, მერე ჭალიაშვილმა ააცილა მიზანს გიორგი ილურიძის გადაცემის შემდეგ.


ვლადიმერ გაბედავა

## გერმანია
II ბუნდესლიგა. X ტური
მაინცი 4:1 კოტბუსი

## ნორვეგია
ტიპელიგა. XXV ტური
მიოლდე 1:2 ვიკინგი

## პორტუგალია
სუპერლიგა. IX ტური
ბოავიშტა 0:1 პორტუ

## ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XII ტური
სპარტა 1:0 ბრნო

# პან-ფანმა სადილედ მოიცალა



ვაცლავ ზჟურსკი „დილას" ძირძველი გორელივით ქომაგობდა

**ვაჟა ხუციშვილი** გორიდან

„ბრავო, სუდია!" „გოლი, გოლი!" — გაჰყვიროდა საქართველოში პოლონეთის კონსული ვაცლავ ზჟურსკი, რომელიც გორის სტუმარი გახლდათ და მეორე ტაიმის სანახავად მოსულიყო. კონსულმა ცოტა ხნით დაიგვიანა, თორემ შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე კაიდარაშვილის გოლს ნახავდა.

„დილამ" შვიდი საშინაო მატჩიდან მეექვსე მოიგო, მაგრამ გამარჯვება მეტად მძიმე ბრძოლაში ერგო. ზურაბ ხორგუაშვილის გუნდს გამოჯანმრთელებული ალექსანდრე კაიდარაშვილი დაუბრუნდა. მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში როინ მარლიშვილი გაამწესა, რომელსაც აქამდე მხოლოდ შეცვლაზე ათამაშებდა.

გორელები შინ სულს სხვა ფრთებით დაჰქრიან და გუშინ პირველ ტაიმშიც ასე იყო. კონტრიერიშებზე ჩასაფრებულ სტუმრებს მეტოქის შეტევების მოსაგერიებლად გვარიანი ჯაფა დაადგათ. მარლიშვილი ბურთს ჭკვიანურად ანაწილებდა, ქართლური ფლანგებიც სასარგებლოდ აქტიურობდნენ, საჯარიმოში კი ძოძუაშვილი და კაიდარაშვილი ბზრიალებდნენ.

სოსო გრიშიკაშვილმა სხვადასხვა წერტილიდან დარტყმული არაერთი რთული ბურთი მოიგერია. მის ცხვირწინ გოლის სუნი ტრიალებდა და მუდმივი ხალხმრავლობა ხიფათს უქმნიდა. უკვე საზეიმოდ წამომხტარი გორელი ქომაგები „ლოკომოტივის" მეკარემ რამდენჯერმე სკამზე გაწბილებულნი დასვა.

პირველი ტაიმის მიწურულს ძოძუაშვილის თავური სასწაულებრივ მოიგერია, მაგრამ მომდევნო შეტევისას ბალაშვილის დარტყმული ბურთი კარის ხაზთან ტალახში გასრიალებულ სალუქვაძეს ხელზე მოხვდა. კვარაცხელიამ თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე მიუთითა. ყველაზე მხცოვანმა ქომაგებმაც კი ვერ გაიხსენეს, „დილას" სასარგებლოდ პენალტი ბოლოს როდის დანიშნეს. კაიდარაშვილმა თავისი შანსი გამოიყენა და მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ ლაზათიანი წვიმა წამოვიდა. თამაშის სცენარი შეიცვალა. ქართლელები საკუთარ საჯარიმოში დაბინავდნენ და სივრცე მეტოქეს დაუთმეს. შეცვლაზე შესულმა კობახიძემ, ჟღენტმა და სოსელიამ „ლოკომოტივის" შეტევები უფრო გაამწვავეს და სოლოლაშვილს საქმე გაუჩინეს. მეკარემ „დილა" სამჯერ იხსნა. „ლოკომოტივმა" ბურთი „მიითვისა" და მრავალმხრივად უტევდა, მაგრამ ამაოდ.

გორელებმა კონტრიერიშზე თავის შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს, რადგან სველ მინდორზე ფეხის მოკიდება და სწრაფად სირბილი უჭირდათ.

შეხვედრის მიწურულს ძოძუაშვილი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ მცველ-მეკარესთან ბრძოლაში საჯარიმოში წაიქცა. მასპინძლები მეორე პენალტს ითხოვდნენ, კვარაცხელიამ კი ძოძუაშვილი სიმულაციისთვის ყვითელი ბარათით დასაჯა.

გორი. 27 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 800 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:0 ლოკომოტივი

1:0 კაიდარაშვილი (40)

**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, ლაცაბიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, რაზმაძე (ოლგესაშვილი 55), მარლოშვილი (ჯობაძე 80), ა. კაიდარაშვილი, ძოძუაშვილი (სულთანიშვილი 90)
*სათადარიგონი:* ილურიძე; ბ. ჩიტაია, ხანიშვილი, გ. კაიდარაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**ლოკომოტივი:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე (კობახიძე 44), სალუქვაძე, ვაშაკიძე, ბურნაძე (ჟღენტი 65), ზამთარაძე (სოსელია 78), სიჭინავა, უგრეხელიძე, სირაძე, ნანა
*სათადარიგონი:* ხაჩერიშვილი; ქოქიაშვილი, ძამსაშვილი, მანჯავა
**მწვრთნელი:** რევაზ არველაძე

**გაფრთხილება:** ვაშაკიძე (11), ბალაშვილი (45), ბურნაძე (60), ჟღენტი (70), ძოძუაშვილი (77)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** მ. ანჯაფარიძე

ჯარიმა: 21-22; კუთხური: 3-4; კარში დარტყმა: 6-6; კარისკენ დარტყმა: 7-8; თამაშგარე: 2-3



ლოკომოტიველმა მურთაზ ბურნაძემ ლევან გოჩაშვილს ფეხი აძგერა

ბოლნისი. 27 ოქტომბერი. 15 საათი. თემურ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 500)

## სიონი 1:1 თბილისი

0:1 აფციაური (24), 1:1 გაბისკირია (80)

**სიონი:** ვოლკოვი, ჭიჭვეიშვილი, ბაქრაძე, ფანჩულიძე (დაუშვილი 78), ხუჯაძე, გაბისკირია, გუჩუა (გ. შენგელია 61), გაბიდაური, კოშკაძე, ისიანი, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* ა. ლაბაძე; დარსანია, კვეკვესკირი
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**თბილისი:** ნაჭყებია, ელიავა, სიდამონიძე, მესხი, მიკუჩაძე (გ. ნოდ. ჭელიძე 70), აფციაური, მემარნიშვილი, ლოლაძე (გეწაძე 61), დ. ოდიკაძე, კვარაცხელია, დავითაშვილი (დათვაძე 84)
*სათადარიგონი:* გ. გაბელია; ხარებავა, გოგიტა გოგუა, ნადირაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**გაფრთხილება:** გაბიდაური (34), ისიანი (76), სიდამონიძე (77)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** ვ. ქორიძე

ჯარიმა: 15-21; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 10-7; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 5-0

# გაზმლია მსაჯის მსაჯია?

**პაატა კვანტალიანი** ბოლნისიდან

**გორელი** ზურაბ ანიაშვილის საფინალო ჩასტვენას ოთარ გაბელიას აფეთქება მოჰყვა. ბოლნისელთა ემოციურმა მწვრთნელმა მიყარ-მოყარა ფეხბურთელები, რომელთაც მსაჯისთვის ალყა შემოერტყათ და ისე მიეჭრა ანიაშვილს, კაცი იფიქრებდა, დახრჩობას უპირებსო. გაბელია გაცხარებული იყო მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც: „სადაც საჭიროა, იქ დაველაპარაკები ანიაშვილს. უნამუსოდ მოიქცა, ორი აშკარა პენალტი არ დაგვინიშნა. წინააღმდეგი ვიყავი, არ მინდოდა, რომ მას ემსაჯა, ნებისმიერი დაენიშნათ მის მაგივრად, ასე არ გაგვწირავდა. ანიაშვილი გორელია და კარგადაც იმუშავა დღეს თავისი ქალაქის გუნდისთვის. „დილა" ხომ ჩვენი კონკურენტია. ბოლნისში არასდროს მიგრძვნია მსაჯთა სიმპათიები, მაგრამ იმაზე დიდი უნამუსობა არაფერია, ნაღვაწს რომ წყალში ჩაგიყრიან." ასეთი იყო გაბელიას რეაქცია იმ მატჩზე, მასპინძლებმა რომ ვერაფერი მოუხერხეს აღმავლობის გზაზე მდგარ „თბილისს". სტუმრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ორივე ტაიმი სტაბილურად ითამაშეს და რომ გამართლებოდათ, სამ ქულასაც გაიყოლებდნენ.

მატჩის დებიუტში გუნდებმა თითო მომენტი გაცვალეს — ჯერ ფანჩულიძე-გონჩაროვ-გაბისკირიას სამსვლიანი კომბინაციისას ნაჭყეპიამ ივარგა, მერე კი აფციაურს არ გაატანინა ვოლკოვმა.

„სიონს" აშკარად ეტყობოდა გილაურის არყოფნა. ვერა და ვერ დალაგდნენ ჩვეულად მასპინძლები და მალე აფციაურმა სუსტი წერტილი უპოვა მეტოქეს — ნახევარდაცვის გამბითურებელ თბილისელს მცველებმაც ვერ შეუშალეს ხელი და ოციოდე მეტრიდან ბალახზე გასრიალებული ბურთი ძელის გავლით „სიონის" კარში აღმოჩნდა — 0:1.

33-ე წუთზე კოშკაძემ წამოიწყო სწრაფი კონტრშეტევა და კარგადაც გაუჭრა ბურთი გონჩაროვს. ამან საჯარიმოში ბოლო მცველი კი მოატყუა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა. „სიონს" ამ მომენტიდან ორ წუთშიც ჰქონდა გასატანი, მაგრამ კუთხურის შემდეგ მცველების მოგერიებული ბურთი ფანჩულიძემ ათიოდ მეტრიდან კარს გადააცილა.

„თბილისი" მოხერხებულად ჩაუჯდა მასპინძელთა შეტევებს. გულმოდგინედ იცავდა თავს გიორგი დევდარიანის გუნდი და მწვავედაც ჩხვლეტდა მეტოქეს კონტრშეტევებით. ტაიმის ბოლომდე გონჩაროვმა და ისიანმა ვერ ივარგეს საგოლე ეპიზოდებში. თავის მხრივ შანსი „თბილისსაც" ჰქონდა, მაგრამ ხუთიოდე მეტრიდან დავითაშვილს გაუცუდდა დარტყმა.

„სიონმა" მეორე ტაიმის დებიუტშივე სცადა უპირატესობის განმტკიცება, მაგრამ ბოლნისელები ერთფეროვნად და ქაოსურად უტევდნენ, სტუმრები კი ორგანიზებულად მოქმედებდნენ, თუმც ასეთ ვითარებაშიც შეეძლო ანიაშვილს მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტის დანიშვნა — ერთ-ერთ ეპიზოდში ისიანი წააქციეს საჯარიმოში, მაგრამ გორელმა არბიტრმა ჩათვალა, რომ სიონელმა ითვალთმაქცა და ყვითელი ბარათი დააძრო გაავებული ტრიბუნების თვალწინ.

გადამწყვეტი მომენტი მე-80 წუთზე დადგა — ზედ საჯარიმოს ხაზთან ჯარიმა დაინიშნა სტუმართა კარისკენ. გაბისკირიამ ერთობ გააჭიანურა დარტყმა, მაგრამ ბოლოს ისე დააბზრიალა ბურთი, ორი ნაჭყეპიაც ვერ აიღებდა — 1:1.

ეს იყო და, „სიონმა" მოსაგებად გაიწია და ლამის დაისაჯა: ბოლნისელი მცველები შეცდნენ, აფციაური ვოლკოვის პირისპირ დარჩა ბურთიანად და იმდენი დრო ჰქონდა გასატანად, ფოტოაპარატი რომ ჰქონოდა, ვოლკოვისთვის სურათის გადაღებასაც მოასწრებდა...

ზედ საფინალო სასტვენის წინ კი „თბილისს" ლამის წყალში ჩაეყარა გარჯა — გაბისკირიას პასისას ცარიელი კარის წინ დარჩენილმა ისიანმა ბურთს ფეხი ააცილა...

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გიორგი დევდარიანმა ეს თქვა: გახარებული ვარ ბოლნისში აღებული ქულით, ჩემს გუნდს პროგრესი ეტყობა და ასე თუ გავაგრძელეთ, ექვსეულში ადგილს ვერავინ დაგვიჭერსო.





ნამატჩევს ოთარ გაბელიამ ზურაბ ანიაშვილისკენ გაიწია

# კოლხეთს ჩემია დარჩენია



რატი ალექსიძემ „კოლხეთი“ თბილისიდან ორი გოლით გაისტუმრა

თბილისი. 27 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 კოლხეთი

1:0, 2:0 ალექსიძე (50, 87)

**დინამო:** გვარამაძე, კარლოსი (კანდელაკი 73), წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია (იაშვილი 80), ალექსიძე, მელქაძე (ანჩაბაძე 60)
*სათადარიგონი:* ზოიძე; სახვაძე, მ. ბობოხიძე, ი. სამხარაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, შალამბერიძე, სვანიძე, ბალათურია, შ. ლონლაძე, მ. ქობულაძე, ქუტიძე, ხურცილავა, მ. თაყაძე (გურგენაძე 63), ტყებუჩავა, მარგალიტაძე (ნარსია 85)
*სათადარიგო:* ჩემია
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**გაფრთხილება:** გოგობერიშვილი (59)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** დ. გოგია

ჯარიმა: 6-9; კუთხური: 4-1; კარში დარტყმა: 7-1; კარისკენ დარტყმა: 11-2; თამაშგარე: 0-2

კობა ინასარიძე

**წლეულს** „დინამომ“ პირველად სწორედ „კოლხეთთან“ წააგო ფოთში. იმ მატჩში თბილისელთა აშკარა უპირატესობის მიუხედავად სამი ქულა მასპინძლებს დარჩათ და ჩემპიონები ხელმოცარული გამოისტუმრეს. ის თამაში აგვისტოში იყო, ახლა ოქტომბერია, ამ ორ თვეში კი „კოლხეთი“ ისე შეცვლილა, როგორც აგვისტო-ოქტომბრის ამინდი.

„დინამო“ რომ ფოთელებთან რევანშის შანსს ხელიდან არ გაუშვებდა, ცხადი იყო. მით უფრო რეალური გახდა თბილისელთა წარმატება მატჩამდე, როცა სამატჩო განაცხადები ჩამორიგდა. სტუმართა დისკვალიფიცირებული მწვრთნელი ტყებუჩავა ტრიბუნაზე მოკალათდა, ოქმში კი სულ 14 კოლხი ფეხბურთელის გვარი ეწერა. სამ სათადარიგოს შორის ერთი მეკარე იყო, ჩემია. ფოთელთა თქმით, აუცილებლობის შემთხვევაში მას წინაც გამოიყენებდნენ. საქმე აქამდე არ მისულა, უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ დინამოელები მალევე დაწინაურდნენ და მერე მეტოქეს თამაშის გადარჩენის მცირე შანსიც არ მისცეს.

„კოლხეთმა“ გვარამაძე სულ ორჯერ შეაწუხა, ორჯერვე შესვენებამდე. ჯერ იყო და, ბურდულის სახიფათოდ დარტყმულის საპასუხოდ ქობულაძემ დაჰკრა თავური, მეკარემ იმარჯვა. მერე კი მელქაძის თავით აცილებულს თაყაძემ მიაყოლა შორეული, მაგრამ არაზუსტი დარტყმა. ეს იყო და ეს, „კოლხეთი“ თავის ნახევარზე ჩაიკეტა და როცა შეტევას ცდილობდა, არაფერი გამოსდიოდა.

ნაღდი მომენტი პირველ ტაიმში „დინამოს“ არ ჰქონია, თუმც ერთხელ კი იყო წერეთელი მიზანთან ახლოს — მისი თავური ბათიაშვილმა მოიგერია.

დინამოელებმა თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში მოახერხეს პირველი გოლის გატანა და ფოთელთა საპირველტაიმო იმედებიც მაშინვე დაასამარეს: მარჯვენა ფლანგიდან ბურდული შურდულივით შეიჭრა მცველებს შორის და შორეულ ძელთან ჩააწოდა. ბურთს კვირკველია ელოდა, რომელსაც ხელის შემშლელი არავინ გამოუჩნდა, მანაც დაუყოვნებლივ იქვე მყოფ ალექსიძეს უპასა. რატის დარტყმული ბათიაშვილისთვის აუღებელი გამოდგა.

დარჩენილი დრო „დინამომ“ ფოთელთა კარის სიახლოვეს გაატარა. 1:0 ის ანგარიში არაა, გუნდი დაამშვიდოს, თუნდ ისეთ მეტოქესთან, როგორიც გუშინ თბილისელებს ჰყავდათ. ჰოდა, „დინამოც“ ცდილობდა, ორ წუთში ერთხელ სახიფათო მომენტი იქმნებოდა, მაგრამ ბათიაშვილის კარი მოჯადოებულივით იყო. დარასელიასა და გოგობერიშვილს ფოთელთათვის სამ-ოთხჯერ უნდა გაეტანათ, არაფერი გამოუვიდათ. თავიდან შეცვლაზე შესულ იაშვილსაც არ გაუმართლა, მეკარესთან პირისპირ შეყრილმა თან დაარტყა, თან პასი გააკეთა, ერთიც გაუცუდდა, მეორეც. იაშვილმა მეორე ჯერზე იყოჩაღა: ბურდულმა ისევ მარჯვნიდან, კვლავ შორეულ ძელთან ჩააწოდა, სადაც იაშვილმა მეკარეს თავით მოუგო ბურთისთვის ბრძოლა და ცარიელი კარის წინ ეულად დარჩენილ ალექსიძეს დაუგდო. ამდენი გამოუყენებელი მომენტის მერე კი რატიმ სიმწრით ისეთი დაარტყა, რომ იტყვიან, ბადე კინაღამ გახიაო.



*ბათუმის დატბორილ მოედანზე გუშინ ბურთი ვერ გაგორდებოდა. „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯიას“ არბიტრმა კახა მესხმა და სფფ-ის ინსპექტორმა ოთარ გუნთაძემ მცირე თათბირის მერე შეხვედრის გადადება ბრძანეს. მატჩის ჩატარების თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.*

თბილისი. 27 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი. 200 (ტევადობა 3 000)

## სპარტაკი 1:1 ტორპედო

1:0 ტატანაშვილი (25), 1:1 ნერგაძე (80)

**სპარტაკი:** მამალაძე, ნურნუმია, ქვანია, დონდოლაძე, ჩიკვილაძე, ალადაშვილი, გ. თოდუა, იმნაიშვილი, კვერენჩხილაძე (გ. დოლიძე 87), კოტრიკაძე (შამუგია 85), ტატანაშვილი (ბ. გოცირიძე 85)
*სათადარიგონი:* შეყრილაძე, ებრალიძე, ფირცხალავა, მგელაძე
**მწვრთნელი:** ვასილ ჭეიშვილი

**ტორპედო:** სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, გ. ჩხეტიანი (ლალაძე 46), კვეტენაძე, ზ. ქუთათელაძე (ჩოგოვაძე 75), მუშკუდიანი, პირომინი (გამეზარდაშვილი 67)
*სათადარიგონი:* გ. სოხიაშვილი; ლ. ჭელიძე, ნადირაძე, გოგოლაძე
**მწვრთნელი:** ჟოაო კამპუში

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ასკაროვლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** ჰ. ბურჯალიანი

ჯარიმა: 25-10; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 1-7; თამაშგარე: 3-3

# მე ჩამომიყვანეთ ბრაზილიელებს

## ჟოაომ პრეზიდენტს ფეხბურთელები შეუკვეთა

კახა შალამბერიძე



**2003 წლის** 20 სექტემბერი: ქუთაისის „ტორპედომ“ შინ 2:1 მოუგო „თბილისს“. მას შემდეგ 37 დღე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში „ტორპედოს“ მოგება არ ღირსებია. გუშინ „შევარდენზე“ რიონისპირელებმა ზედიზედ მეექვსე უიღბლო თამაში გადააგორეს.

წინა მატჩებთან შედარებით, ქვეყნის სამგზის ჩემპიონს ბრაზილიელი ჟოაო კამპუშის ხელი დაეტყოთ. მართალია, „სპარტაკი“ ლიდერი არ არის, მაგრამ პირველ წრეში „ტორპედომ“ ეს გუნდი შინაურ სარბიელზეც ვერ დაამარცხა (0:0).

კამპუში კი კვლავაც ექსპერიმენტშია ჩაფლული. ამჯერად ბრაზილიელმა სამი თავდამსხმელით ათამაშა გუნდი, შემტევი შოთა ბაბუნაშვილი კი მოულოდნელად მარცხენა მცველად მოგვევლინა. ერთი სიტყვით, ბრაზილიელი საუკეთესო მონახაზის ძიებაშია, ამასობაში კი დრო და ქულები იფლანგება.

ახალგაზრდული „სპარტაკი“ კი ქების ღირსია. ვასილ ჭეიშვილის შეგირდებმა ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს ქუთათურებს. პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, თუმც „სპარტაკმა“ მეტოქეს მომენტის რეალიზებაში აჯობა: 25-ე წუთზე კოტრიკაძის სწრაფი კონტრშეტევა ტატანაშვილმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა — 1:0. ეს იყო პირველი და ბოლო დარტყმა „ტორპედოს“ კარში.

სტუმრებმა მეორე ნახევარში გამოიღვიძეს. „ტორპედოს“ სრული უპირატესობა ჰქონდა და გოლის გასატანად რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენა. ანგარიშის გათანაბრება კახა კვეტენაძეს და ზურაბ მუშკუდიანს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ თბილისელთა მეკარე მაგრად იდგა.

საბოლოოდ „სპარტაკი“ მაინც მეკარის უყურადღებობამ დაღუპა — მამალაძეს უწყინარ სიტუაციაში ბურთი კუთხურზე გაექცა. ტრიბუნებზე მაშინვე იგუძანეს: ასეთმა შეცდომამ დასჯა იცისო და ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ: კახა კვეტენაძის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გიორგი ნერგაძეს მიუვიდა, რომელმაც ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ეს ამბავი მე-80 წუთზე მოხდა.

„ტორპედო“ მეორეს გასატანადაც გაიწია, მაგრამ ძალა აღარ ეყო. „სპარტაკს“ მეტი შეცდომა არ დაუშვია და გუნდებიც მშვიდობიანად გაეყარნენ ერთმანეთს.

*ჟოაო კამპუში:* „მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ. თავიდან არეულები ვიყავით, ტემპიც დაბალი იყო და ამის გამო მომენტების გამოყენება გვიჭირდა. „სპარტაკმა“ დაცვაში კარგად ითამაშა და ჩვენც, სამწუხაროდ, ერთი გოლის მეტი ვერ გავიტანეთ.

დღეს დავრწმუნდი, რომ „ტორპედოს“ გაძლიერება სჭირდება და ჩემი თანამემამულე ფეხბურთელების ჩამოყვანა აუცილებელია. თუმც არავის ეგონოს, რომ ამ ბიჭებს შეველევი. გულს არავის ვატკენ. უბრალოდ, ახალ ძალას დავამატებ. ამ სალამოსვე დავურეკავ კლუბის პრეზიდენტს და ვფიქრობ, ამ საკითხს საბოლოოდ გადავწყვეტთ. სავარაუდოდ, ბრაზილიელები ზამთარში შემოგვიერთდებიან. ბევრი დრო არ გვაქვს. ყველაზე მეტად თავდასხმაში გვიჭირს და ამ პრობლემას უნდა ვუშველოთ.

*ვასილ ჭეიშვილი:* ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ამისთვის მადლობელი ვარ. ჩვენი „პრობლემა“ ახალგაზრდული ასაკია. გამოცდილება არ გვაქვს და ამის გამო ხშირად მოსაგებ თამაშს ვაგებთ. დღესაც შეგვეძლო გამარჯვება, მაგრამ ფრეს დავჯერდით. ესაც გამოუცდელობის ბრალია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 9 | 3 | 2 | 32:6 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 24:7 | 28 |
| სიონი | 14 | 7 | 6 | 1 | 17:8 | 27 |
| დილა | 14 | 8 | 2 | 4 | 18:11 | 26 |
| თბილისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23:16 | 18 |
| ლოკომოტივი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:15 | 18 |
| მცხეთა | 14 | 5 | 2 | 7 | 17:30 | 17 |
| ბათუმი | 13 | 5 | 1 | 7 | 15:14 | 16 |
| ტორპედო | 14 | 4 | 4 | 6 | 11:16 | 16 |
| კოლხეთი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:19 | 12 |
| სპარტაკი | 14 | 2 | 4 | 8 | 8:35 | 10 |
| მერცხალი | 14 | 2 | 3 | 9 | 14:29 | 9 |

# იაშვილის დუბლი პოკერმა გაჭრა

**ალექსანდრე იაშვილის** დუბლმაც ვერ უშველა „ფრაიბურგს“. ჩვენებურმა გოლების გატანა მაშინ დაიწყო, როცა „ვერდერს“ საქმე უკვე მომთავრებული ჰქონდა. „იაშკამ“ პირველი 0:3-ზე შეაგდო, დუბლი კი ბოლო წუთზე გაახერხა. ამ დროისთვის ბრემენელები 4:1-ს იგებდნენ. საბოლოოდ „ფრაიბურგმა“ წააგო, მაგრამ ალექსანდრე იაშვილი თანაგუნდელთაგან საუკეთესო იყო. მის მსგავსად, ლევან ცქიტიშვილმაც სრულად ითამაშა.

ბოლოდროინდელი წარუმატებლობის გამო „ფრაიბურგი“ ახლა მეცხრე ადგილზეა, თუმც ფოლკერ ფინკეს გუნდისთვის ურიგო არც ეს შედეგია.

გელზენკირხენული „შალკე“ კი ჯერაც ვერ აძვრა ცხრილის ზედა ნახევარში. ლევან კობიაშვილის გუნდი სულაც 0:2-ს აგებდა კლაუს ტოპმიოლერის მომართულ „ჰამბურგთან“, მაგრამ „ხუმარებმა“ შინ ქულის წაღება მაინც შეძლეს. კობიაშვილმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

შოტლანდიაში „რეინჯერსი“ შევიწროვდა. ბოლო ორი ტურია, „ჩაფრები“ მოგებას ვერ ახერხებენ, რაც მისმა მოქიშპე „სელტიკმა“ მშვენივრად გამოიყენა. „რეინჯერსს“ ტრავმირებული შოთა არველაძე აკლდა, ზურაბ ხიზანიშვილი კი ჩვეულად ძირითად შემადგენლობაში იყო.

ტრავმის გამო დანდური დერბი გამოტოვა გიორგი ნემსაძემ. მისი „დანდი“ თანაქალაქელ „იუნაიტედთან“ დაზავდა და სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით ჩაინაცვლა.

რუსულ პრემიერლიგაში ქართული ფეხი გაიშვიათდა. ცხრა ჩვენებურიდან 29-ე ტურში ოდენ სამმა ითამაშა. დანარჩენთაგან ერთი ტრავმირებულია, ორი სათადარიგო, სამი კი სარეზერვო გუნდის წევრი. საწყენია, მაგრამ სარეზერვო გუნდებში ქართული საზომით ისეთი სახელები თამაშობენ, როგორიც მალხაზ ასათიანი და ალექსანდრე რეხვიაშვილია... ვაი, რომ ქართული ფეხბურთის მომავალს ქართული ფეხბურთის სენი შმაგად ჭამს.

დასანანი ქულები დაკარგა გოგა გახოკიძის „ტვენტემ“. „უტრეხტი“ არ იყო ის გუნდი, „ტვენტეს“ ვერ დაეჩაგრა, მაგრამ **ბოლო**ს ისე გამოვიდა, რომ გა**ხოკიძის** გუნდი ქულითაც კმაყოფილი დარჩა — „ტვენტემ“ ხომ ორბურთიანი ჩამორჩენა გააბათილა.

ზედიზედ მეორე ტურში წააგო დონეცკის „მეტალურგმა“. ჩემპიონობის მაძიებელმა კიევის „დინამომ“ დონბასელებს შანსი არ დაუტოვა და 3:0 გაანადგურა. გიორგი დემეტრაძე 85-ე წუთზე შეცვალეს, გოჩა ჯამარაულმა კი ოდენ ბოლო 29 წუთი ითამაშა.

სამაგიეროდ, სიმფეროპოლის „ტავრიამ“ გაიხარა. უკრაინის პირველი ჩემპიონები ბოლოადგილოსან „ზირკას“ დაუხვდნენ და 2:0 აჯობეს. სტუმრებს ბოლო ზურაბ იონანიძემ მოუღო, ვისთვისაც ეს მესამე გოლი გამოდგა სადებიუტო სეზონში.

გოლი ლევან მიქაძემაც გაიტანა, თუმც ამან „კრივბასს“ ვერ უშველა. კრივოიროგელებს „დნიპრომ“ ერთით მეტი გაუტანა და შინ სამი ქულაც გაიყოლა.

ლევან კორღალიძე და ზურაბ მენთეშაშვილი ლატვიის ჩემპიონები გახდნენ. „სკონტომ“ მთავარ კონკურენტ „ვენტსპილსს“ მისსავე მოედანზე 2:0 მოუგო და ტიტული ამჯერადაც არ დაუთმო. პირველი გოლი მასპინძლებს კორღალიძემ გაუტანა.

ბულგარეთში კი ორი ქართული დებიუტი შედგა — ლევან შავგულიძემ და ვლადიმერ კაკაშვილმა პირველად მოირგეს „ჩერნო მორეს“ მაისურა, თუმც გუნდი მარცხისგან ვერ იხსნეს. „ლიტექსმა“ „ჩერნო მორეს“ 2:0 მოუგო.

**ძაბა ზალამბერიძე**




ალექსანდრე იაშვილის ორი გოლი „ფრაიბურგს“ გამარჯვებისთვის არ ეყო

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | სამპდორია 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰამბურგი 2:2 | 90 | | 10 | 0 | 11 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 2:4 | 90 | 2 გოლი | 10 | 3 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 2:4 | 90 | | 10 | 1 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ბურგჰაუზენი 0:2 | 70 | შეცვალეს | 10 | 4 | 14 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ლივინგსტონი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 7 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ლივინგსტონი 0:0 | 90 | | 10 | 0 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | დანდი იუნ. 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 0 | 4 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | უტრეხტი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 7 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რაპიდი 0:2 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ზენიტი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 11 | 1 | 4 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | ზენიტი 0:0 | 90 | | 12 | 8 | 4 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ტ. მეტალურგი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 3 | 3 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ტ. მეტალურგი 2:1 | 0 | სათადარიგო | 10 | 0 | 3 |
| ვალერი აბრამიძე | ურალანი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | | 6 | 0 | 14 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | | 14 | 2 | 14 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ს | სპარტაკ-ალანია 0:3 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | რუბინი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | ვიძევი 2:2 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 1 | 1 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | დინამო 0:3 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | დინამო 0:3 | 85 | შეცვალეს | 12 | 8 | 4 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | ზირკა 2:0 | 90 | 1 გოლი | 11 | 3 | 15 |
| გრიგოლ ჭანტურია | ტავრია | შ | ზირკა 2:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 15 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | დნიპრო 1:2 | 90 | 1 გოლი | 12 | 1 | 14 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | არსენალი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 12 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | მ. ზაპოროჟიე 2:1 | 60 | შეცვალეს | 12 | 3 | 6 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | შ | მ. ზაპოროჟიე 2:1 | 90 | | 9 | 0 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | შახტარი | ს | ილიჩევეცი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **უნგრეთი. ბორსოდი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | შ | ბალატონი 0:2 | 0 | | 5 | 0 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 3 | 8 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | ს | სპარტაკი 2:4 | 0 | | 4 | 0 | 16 |
| ლევან შავგულიძე | ჩერნო მორე | ს | ლიტექსი 0:2 | 90 | | 1 | 0 | 11 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ლიტექსი 0:2 | 90 | | 1 | 0 | 11 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | კაისერი 1:2 | 69 | შეცვალეს | 4 | 0 | 3 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:0 | 74 | 1 გოლი, შეცვალეს | 18 | 6 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:0 | 90 | | 8 | 1 | 1 |
| თამაზ პერტია | არმა | შ | მეტალურგსი 2:6 | 90 | | 22 | 2 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ომონია 2:3 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 7 | 4 | 5 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | ოლიმპიაკოსი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 1 | 6 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აპოლონი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 5 | 7 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | შ | დიგენისი 0:0 | 90 | | 7 | 5 | 11 |
| დავით პეტრიაშვილი | ევტაპასი | შ | დიგენისი 0:0 | 0 | | 4 | 1 | 11 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | ს | ატირაუ 1:3 | 90 | 1 გოლი | 19 | 2 | 15 |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | შ | ბატისი 3:1 | 0 | სათადარიგო | 6 | 2 | 4 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ბატისი 3:0 | 45 | შეცვალეს | 10 | 2 | 4 |
| სანდრო ბურნაძე | ეეტისუ | შ | ბოგატირი 0:0 | 90 | | 8 | 1 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# დინამოს მოსკოველი თანამეგობრები

**მოსკოვში** „თანამეგობრობის თასის“ წილისყრა მოეწყო. მოგეხსენებათ, რუსეთის დედაქალაქი ყოველწლიურად მასპინძლობს ესენგეს ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებას. ახალი ტურნირი 2004 წლის 17-25 იანვარს ჩატარდება. წილისყრის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ B ჯგუფში ლატვიის, ყაზახეთის და ყირგიზეთის ჩემპიონებთან მოხვდა. ლატვიაში ჩემპიონატი ორიოდ დღის დასრულებულია და ყველას, ცხადია, რიგის „სკონტომ“ აჯობა. სხვათა შორის, „სკონტო“ „თანამეგობრობის თასის“ მუდმივი მონაწილეა.

ტურნირის რეგლამენტი არ შეცვლილა: გუნდები ოთხ-ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი. ჯგუფური ეტაპის შემდეგ მეოთხედფინალები გაიმართება. აქვე სხვა ჯგუფების შემადგენლობებს გაგაცნობთ ქვეყნების მიხედვით: A ჯგუფი — რუსეთი, ბელარუსი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი; C ჯგუფი — უკრაინა, ესტონეთი, სომხეთი, თურქმენეთი; D ჯგუფი — მოლდოვა, ლიტვა, აზერბაიჯანი და უკონკურსო რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები.

თბილისის „დინამო“ „თანამეგობრობის თასს“ სამწლიანი განშორების შემდეგ უბრუნდება. როგორც იცით, ბოლო სამ სეზონში მოსკოვში საქართველოს ქუთაისის „ტორპედო“ წარმოადგენდა.

**ძაბა ზალამბერიძე**


## სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები,
ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

## ინგლისი

### პრემიერლიგა. X ტური

**ჩარლტონი 1:1 არსენალი**

1:0 დი კანიო (28პ), 1:1 ანრი (39)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პერი, ფიში, ჰრეიდარსონი, კ. იენსენი, პარკერი, ჰოლანდი, გ. სტიუარტი, დი კანიო (იუელი 46), ჯ. იოჰანსონი (კემპბელ-რაისი 76)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (კანუ 70), პარლოუ, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (ვილტორდი 70)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: პარკერი, ლორენი
მსაჯი: დანი
26 660 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 მანჩესტერ სიტი**

1:0 ჰასელბაინკი (34)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯ. კოული (დაფი 73), მაკელელე, ლამპარდი, გრონკიაერი (ჯერემი 68), მუტუ, ჰასელბაინკი (ჰათი 84)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჟიხაი, სომეილი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, კ. რეინა (სიბიერსკი 80), ტ. სინკლერი, ანელკა, ფაულერი (ვანჩოპე 73)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
მსაჯი: დოუდი
41 040 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 1:3 ფულემი**

0:1 კლარკი (3), 1:1 ფორლანი (45), 1:2 მალბრანკი (66), 1:3 ინამოტო (79)
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი (კ. ფორჩუნი 46), ოში, კ. რონალდო (სქოულზი 69), ჯემბა-ჯემბა (ბელიონი 80), ბათი, გიგზი, ვან ნისტელროი, ფორლანი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, გომა, ნაითი, ბონისელი (ჯეტუ 74), მალბრანკი, პემბრიჯი (ინამოტო 32), კლარკი, ლეგვინსკი, ბოა მორტე (მეილსი 86), საჰა
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ფორლანი, ჯემბა-ჯემბა, ფორჩუნი, გიგზი, ინამოტო, ნაითი
მსაჯი: რაილი
67 727 მაყურებელი

**ლივერპული 3:1 ლიდსი**

1:0 ოუენი (35), 1:1 სმიტი (42), 2:1 მერფი (57), 3:1 სინამა-პონგოლე (84)
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ჰიპია, ბისკანი, რიისე, დიუფი, ჯერარდი, შმიცერი (დენი მერფი 49), კიუელი (ლე ტალეკი 87), ოუენი (სინამა-პონგოლე 58), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ზ. კამარა, მატეო, ოლემბე, პენანტი (ლენონი 82), ს. ჯონსონი (ბარმბი 80), ბეტი, მილნერი (საკო 75), ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ბეტი, მატეო
მსაჯი: უინტერი
43 599 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:0 პორტსმუთი**

1:0 სპიდი (17), 2:0 შირერი (28პ), 3:0 ამეობი (61)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ბრემბლი, ბერნარი, ბოიერი (ამბროზი 79), ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 80), შირერი, ამეობი (ლუა ლუა 80)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
პორტსმუთი: ჰისლოპი, შემელი (მეთიუ ტეილორი 51), სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, ჟივკოვიჩი (ფოქსი 72), სტოუნი, ქეოში, ფეიე (შერვუდი 76), ბერგერი, შერინგემი, აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: შერინგემი
მსაჯი: დარკინი
52 161 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 მიდლსბრო**

ტოტენჰემი: კელერი, კარი, ე. გარდნერი, რიჩარდსი, ტარიკო, დალმა, ანდერტონი, პოიეტი (კინგი 68), კონჩესკი (მარტინ რიკეტსი 84), რობი კინი, ზამორა (პოსტიგა 65)
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
მიდლსბრო: შვარცერი, გ. დევისი, კუპერი, საუთგეიტი, კედრუ, მენდიეტა, ბოატენგი, დორივა, ზენდენი (გრინინგი 90), კრისტი (მაკარონე 79), ნემეტი (ჟუნინიო პაულისტა 79)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ტარიკო, გარდნერი, ანდერტონი, მენდიეტა, დორივა
მსაჯი: დინი
32 643 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 ევერტონი**

ასტონ ვილა: სორენსენი, მელბერგი, დაბლინი, ჯ. სამუელი, დილანი, კინსელა (ჰიცლსპერგერი 46), გ. მაკკანი, ბერი (დე ლა კრუზი 81), უიტინგემი, ვასელი, ანხელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ევერტონი: მარტინი, ჰაიბერტი, ვეირი, იობო, ნეისმიტი, გრავესენი, ტიე (სტაბსი 90), ლინდეროტი, კილბეინი, კ. კემპბელი (დ. ფერგიუსონი 70), რუნი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ფერგიუსონი
მსაჯი: დურსო
36 146 მაყურებელი

**ბოლტონი 0:1 ბირმინგემი**

0:1 ფორსელი (31)
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ტომე, ჩარლტონი, რ. გარდნერი, კამპო (ჟარდელი 65), იანაკოპულოსი (პედერსენი 81), ფრანდსენი, ოკოჩა, ნოლანი (ლიტლი 84), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, ტებილი (კენა 58), კანინგემი, აპსონი, კლტანი, დ. დანი, ა. სისე, კლემენსი, ლაზარიდისი (ბ. ჰიუზი 77), დიუგარი (მორისონი 88), ფორსელი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: იანაკოპულოსი, დანი, ტებილი
მსაჯი: ფოი
25 023 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:0 ბლეკბერნი**

1:0 ბიტი (59), 2:0 გრიფიტი (87)
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ლე სო, ტელფერი, დელაპი, ა. სვენსონი, ნ. მაკკანი, ბიტი (მარსდენი 90), ტესემი (გრიფიტი 82)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბლეკბერნი: ფრიდელი, რიდი, გრეშკო (იანსენი 68), მარტინ ტეილორი, ტოდი, ფლიტკროფტი, ბ. ფერგიუსონი, თუგაი, ემერტონი (გალაჰერი 68), დ. ტომპსონი (ნაილი 72), ენდი კოული
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ტოდი
გაძევება: კოული (65)
მსაჯი: ბენეტი
31 620 მაყურებელი

**ვულვერჰემპტონი 4:3 ლესტერი**

0:1, 0:2 ფერდინანდი (12, 15), 0:3 შიმეკა (35), 1:3, 2:3 კამერონი (52, 60პ), 3:3 რაე (68), 4:3 კამარა (86)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნეილორი, გუდიონსონი (ნიუტონი 22), კამერონი, რაე, ა. კამარა, ნ. ბლეიქი, მილერი (კაჩლული 46)
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
ლესტერი: უოქერი, კერტისი, ელიოტი, ტაგარტი, როჯერსი, გილესპი (ნალისი 65), იზეტი, შიმეკა, სკოუკროფტი, ლ. ფერდინანდი (მ. ბენტი 64), დიკოვი (ჰინეტი 64)
მწვრთნელი: მიკი ადამსი
გაფრთხილება: სკოუკროფტი, ჰინეტი
მსაჯი: უოლტონი
28 578 მაყურებელი



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ფულემი. დიეგო ფორლანის გოლმა მასპინძლებს ვერ უშველა

# დამირეკე, შვილო ახლა სადილის დროა

სწორედ გასულ კვირაში ამბობდა კრის კოულმენი, ყოველი მხრიდან ვგრძნობ პატივისცემას და მხარდაჭერას, მაგალითად, სერ ალექს ფერგიუსონმა დამირეკა, ხელობა შემიქო და მითხრა: შვილო, შენ თუ რამე დაგჭირდეს, ან რჩევა, ანაც რაიმე კიდევ, არ მოგერიდოს, შენისთანა კაი ბიჭებისთვის ყოველთვის ხაზზე ვარო.

შაბათ საღამოს კი კრის კოულმენი, 33 წლის უელსელი, ვინც ყველაზე ახალგაზრდა მენეჯერია პრემიერლიგაში, „ოლდ ტრეფორდზე" ხარობდა. სერ ალექს ფერგიუსონი კი იმავე სტადიონის სადირექტორო ლოჟაში იჯდა მოღუშული: მსაჯების, ჯეფ ვინტერისა და იურაი რენიეს ლანძღვისთვის მოედნის კიდეზე ჩასვლის ნება აკრძალული ჰქონდა.

კოულმენის „ფულემმა" 40 წლის განმავლობაში პირველად მოუგო „მანჩესტერს" და თანაც იქ, სადაც ძალიან იშვიათად აგებს.

სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ „იუნაიტედს" არ ჰყავდა კაპიტანი კინი და პოლ სქოულზი, თუმცა ორი საუცხოო კომბინაცია გამოუვიდა, რომელთაგან ერთი ფორლანის გოლით დაბოლოვდა, მერე „ფულემმა" ბურთი არ მისცა მასპინძლებს და სირბილშიაც კი აჯობა.

„მანჩესტერელთა" დაცვა საზიზღარი და მთვლემარე იყო, იანუჩი ინამოტოს გოლი ძალიან ლამაზი, მეკარე ტიმ ჰოვარდი კი ზედიზედ შველოდა თავის მცველებს. ვინ იცის, ეგებ უკანასკნელად ეცვა წითელი სამოსი რიო ფერდინანდს, რომელსაც ალბათ ორ წელიწადს ვერ ვნახავთ მოედანზე, რახან დოპინგის ამბავში მტყუანი და მატყუარაც გამოდის, ხოლო ფერგიუსონმა კი თქვა, ერმაც და ბერმაც იცოდეს, მე აკრძალული წამლების მტერი ვარ და გუნდში არ გავაჩერებ რაღაცეებით გაჭყეპილ, ან მოთრიაქე ბიჭებსო.

ამ წაგებით კი „მანჩესტერმა" ცხრილის სათავეში მოქცევის შანსი დაკარგა, ეგებ ერთი დღით, მაგრამ მაინც. იმავ საათებში „ჩელსიმ" შინ სძლია მის „მანჩესტერ სიტის", მაგრამ დიდად გამოიჩინა თავი ლონდონელთა მეკარემ, წინა ტურში ქლიავის შემჭმელმა კარლო კუდიჩინიმ, რომელმაც რობი ფაულერს ისეთი თავური აუღო, რომ იმას ადამიანი ვერ წარმოიდგენდა. „სიტის" ჰქონდა მომენტები, მაგრამ „ჩელსის" ორჯერ მეტი ჰქონდა. „სიტისთვის" ღია თამაში წესია და ამას მასპინძლე-



REUTERS მანჩესტერიდან

ალექს ფერგიუსონს კრის კოულმენის ზარი, ალბათ, აღარ გაუხარდება

ბიც აყვნენ, რომელთა შორისაც საუცხოო იყო ფრენკ ლამპარდი. ერთადერთი გოლი დევიდ სიმენის ზოზინის წყალობით გავიდა, ბურთი ჯიმი ჰასელბაინკმა შეაგორა კარში და ამით თითქოს სტატისტიკის მაგიური ძალაც დაადასტურა: რაც პრემიერლიგაა, „სიტის" „ჩელსისთვის" არ მოუგია, ჯიმის ოთხჯერ უთამაშია „სიტის" წინააღმდეგ და ოთხჯერვე გაუტანია, ხოლო პირადად - სიმენისთვის ექვსი გოლი აქვს გატანილი. „ჯიმი ჯიმია — ხითხითებდა მატჩის შემდეგ კლაუდიო რანიერი — მე აგვისტოში ვთქვი, რომ წლეულს ის ძალიან ბევრ გოლს გაიტანდა". თავად ჯიმიმ კი უფრო ფილოსოფიურად თქვა: „საქმე გავაკეთეთ. სამი ქულა ავიღეთ. ახლა წადი სახლში, კარგად ისადილე და დაისვენე".

ამით „ჩელსი" ერთი დღით მოექცა სათავეში ცხრილს, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით, თუმცა ესეც არ დაურჩა უსიამოვნოდ, რადგან ქულთა სხვაობა „არსენალთან" შეამცირა. ალან კერბიშლის შეგირდებმა მორიგი მცირე სენსაცია გამოაგორეს. პაოლო დი კანიომ პენალტი შეუგდო „მეთოფეებს" და მხოლოდ ქულით გაუშვა სასადილოდ და დასასვენებლად.

შაბათსვე ხმაურობდა „ენფილდი", სადაც თავგანწირვით მებრძოლი და ზედიზედ წაგებებით ტანჯული „ლიდსი" სტუმრობდა ასევე ზედიზედ წაგებებით არეულ „ლივერპულს", რომელსაც მაიკლ ოუენი დაუბრუნდა და თითქოს გადახალისდა. მსაჯობდა ფერგიუსონის მიერ ნალანძღი ჯეფ ვინტერი. ოუენმა მოხდენილი კომბინაციის შემდეგ გაიტანა, რასაც მოჰყვა ალან სმიტის არანაკლებ მოხდენილი გოლი. მისთვის ხომ „ენფილდი" იღბალა სტადიონია: სწორედ იქ, თავის კარიერის პირველ მატჩში სმიტმა პირველივე შეხებით გაუტანა „ლივერპულს". პირველი ტაიმი ამით მოთავდა, მერე კი გავიდა გოლი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. ოუენსავით მოშუშებულმა დენი მერფიმ მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა დაარტყა, მთლად კარში არა, მაგრამ მეკარის საჯარიმოში მაინც. ლიდსელები წინ გამოცვივდნენ და ოთხი ლივერპულელი თამაშგარეში დატოვეს, რაც გვერდითი მსაჯის ალამმაც დაადასტურა. ამასობაში ბურთი მეკარე პოლ რობინსონს ხელებშუა გაუძვრა და კარში შევარდა. ასისტენტთან თათბირის შემდეგ ვინტერმა გოლი ჩათვალა, ინგლისში კი ბოლო ხანს, ყველაზე

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 10 | 7 | 3 | 0 | 19:8 | 11 | 24 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 13 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 11 |
| 2 ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 20:9 | 11 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 10 |
| 3 მანჩესტერი | 10 | 7 | 1 | 2 | 18:6 | 12 | 22 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 12 |
| 4 ბირმინგემი | 10 | 5 | 4 | 1 | 9:5 | 4 | 19 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 3 | 9 | 5 | 3 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 10 |
| 5 ფულემი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:13 | 7 | 18 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 10 |
| 6 საუთჰემპტონი | 10 | 4 | 4 | 2 | 10:5 | 5 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 4 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 |
| 7 სიტი | 10 | 4 | 3 | 3 | 20:12 | 8 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 7 |
| 8 ნიუკასლი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 3 | 15 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:3 | 2 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 1 | 8 |
| 9 ჩარლტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 1 | 15 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | -4 | 5 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 5 | 10 |
| 10 ლივერპული | 10 | 4 | 2 | 4 | 15:11 | 4 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 7 |
| 11 პორტსმუთი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:12 | -1 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 4 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:7 | -5 | 3 |
| 12 ტოტენჰემი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | -3 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 |
| 13 ევერტონი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | -2 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 |
| 14 ასტონ ვილა | 10 | 2 | 4 | 4 | 8:12 | -4 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | -7 | 1 |
| 15 ვულვზი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:21 | -14 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:12 | -7 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | -7 | 2 |
| 16 ბლეკბერნი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:19 | -4 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 8:10 | -2 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 17 მიდლსბრო | 10 | 2 | 2 | 6 | 7:15 | -8 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |
| 18 ბოლტონი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:19 | -11 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:15 | -12 | 2 |
| 19 ლიდსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:21 | -12 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:15 | -10 | 3 |
| 20 ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 14:21 | -7 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 5 | 5 | 0 | 0 | 5 | 6:13 | -7 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შირერი (ნიუკასლი) | 9 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 8 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ანრი (არსენალი) | 8 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 7 |

### XI ტური

1 ნოემბერი

ბირმინგემი — ჩარლტონი
ევერტონი — ჩელსი
ფულემი — ლივერპული
ლიდსი — არსენალი
ლესტერი — ბლეკბერნი
მანჩესტერი — პორტსმუთი
მიდლსბრო — ვულვზი
ნიუკასლი — ასტონ ვილა
საუთჰემპტონი — სიტი
ტოტენჰემი — ბოლტონი

კარგ მეკარეებს მოლლა ეტყობათ. წინა კვირაში კუდიჩინიმ და კეისი კელერმა გაუშვეს სასაცილო გოლები, ახლა რობინსონმა. „ლიდსს“ ხელი მოუთავა ყრმა სინიმა-პონგოლემ, ვინც წინა ტურშიაც საამოდ საცქერი იყო.

„ბირმინგემ სიტიმ“ ბოლტონშივე დასცა იქაურები და მგონი ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებს. ახლა კი თქვენ ითვალეთ, როდის წააგებს „ნიუკასლი“. ჯორდებმა საბოლოოდ გამოიღვიძეს და კვლავ მოიგეს. „ისიამოვნეთ თქვენი თამაშით, მეტი არაფერი მინდა“ — თქვა სერ ბობი რობსონმა. შირერმა და კომპანიამ კი შერინგემი და კომპანია სამი მშრალი გოლით გაისტუმრეს შინ.

კვლავ ვერ გაიტანა გოლი „ასტონ ვილამ“, თუმცა კვლავ არ წააგო. ასევე იყო „ევერტონიც“, რომელიც სწორედ „ვილას“ ეთამაშებოდა. უეინ რუნის ერთი შანსი ჰქონდა და ვერ ქნა, „ვილას“ მხრივ კი ყველა აალაპარაკა ასევე არასრულწლოვანმა პიტერ უიტინგემმა, რომელმაც მთელში მოედანი დაიპყრო. „ბლექბერნს“ „საუთჰემპტონმა“ მოუგო, ცალ მხარეს თმაახოჭრილმა ჯეიმს ბიტიმ საჯარიმო გაიტანა, ენდი კოულმა ჩხუბი ატეხა და მსაჯმა სტივ ბენეტმა მოედნიდან გააძევა, რაც საწყენად დაურჩა მენეჯერ გრემ სუნესს, რომელმაც კოსტუმიც კი გაიხადა და „საუთჰემპტონის“ ერთ-ერთ მუშაკს ერთიერთზე იწვევდა გვირაბში.

კვლავაც გმირულად გაისარჯა „ვულვზი“, რომელმაც სამი ქულა გამოაცალა ხელიდან „ლესტერს“, თვითონ მაღლა აცოცდა, მიკი ადამსის გუნდს კი უფსკრულისკენ უბიძგა. ლეს ფერდინანდმა ძველი დრო გაიხსენა და თავური დუბლით დააწინაურა „ლესტერი“, რასაც სტუმრებმა კიდევ ერთიც მიაყოლეს, ხოლო შემდეგ რაც მოხდა, იმას „ვულვზის“ მწვრთნელმა დეივ ჯონსმა შემობრუნებათა შორის უშემობრუნებულესი რამ უწოდა — ოთხი გოლი, ხოლო გადამწყვეტი ანრი კამარასი. ჯონსმა თქვა: „პირველ ნახევარში მოედანზე ყოფნა არც კი გვეკუთვნოდა. ჩვენმა მაყურებელმა სასტიკად გვისტვინა. გასვლა ძნელი იყო, მაგრამ გავედით და რაც მოხდა, თავად ნახეთ“.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

## პირველი დივიზიონი

### XVI ტური

**ბრედფორდი 1:2 ნოტინგემი**
1:0 ბრენჩი (5), 1:1 ჯესი (78), 1:2 რიდი (90)

**ბარნლი 1:1 მილუოლი**
0:1 ველანი (53), 1:1 მური (60)

**კარდიფი 0:0 ვესტ ჰემი**

**დერბი ქაუნთი 1:3 ქოვენთრი**
0:1 უორნოკი (11), 0:2 სუფო (38), 1:2 ჰოლმსი (52), 1:3 სუფო (80)

**ჯილინგემი 1:0 კრ. პალასი**
1:0 პერპეტუინი (83)

**ნორვიჩი 1:0 სანდერლენდი**
1:0 ფრენსისი (33)

**პრესტონი 1:1 იფსვიჩი**
1:0 ჰილი (21), 1:1 კუნაგო (65პ)

**როტერჰემი 0:3 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ბარკერი (39ს.კ.), 0:2, 0:3 ჰალსი (49, 65)

**სტოკი 1:1 ქრიუ**
0:1 ჯოუნსი (53), 1:1 გრინაკრი (90)

**უოლსოლი 2:0 უიგანი**
1:0, 2:0 ვრაკი (50, 66)

**უიმბლდონი 1:3 უოტფორდი**
0:1 დევლინი (22), 0:2 ვებერი (33), 1:2 ლიგერტვუდი (49), 1:3 ფიცჯერალდი (67)

**შეფილდ იუნ. 1:2 რედინგი**
0:1 უილიამსი (7), 1:1 უორდი (10), 1:2 ფორსტერი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 10 | 1 | 4 | 23:13 | 31 |
| უიგანი | 16 | 8 | 6 | 2 | 21:13 | 30 |
| ნორვიჩი | 15 | 8 | 4 | 3 | 21:15 | 28 |
| შეფილდი | 15 | 8 | 3 | 4 | 24:16 | 27 |
| სანდერლენდი | 15 | 8 | 3 | 4 | 19:11 | 27 |
| ვესტ ჰემი | 15 | 7 | 6 | 2 | 18:10 | 27 |
| იფსვიჩი | 16 | 8 | 3 | 5 | 29:22 | 27 |
| ნოტინგემი | 15 | 7 | 3 | 5 | 28:18 | 24 |
| რედინგი | 15 | 7 | 3 | 5 | 23:18 | 24 |
| მილუოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 20:16 | 24 |
| ქრიუ | 15 | 6 | 3 | 6 | 17:19 | 21 |
| კარდიფი | 14 | 5 | 5 | 4 | 23:15 | 20 |
| პრესტონი | 15 | 6 | 2 | 7 | 20:19 | 20 |
| უოლსოლი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:16 | 19 |
| ქოვენთრი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:21 | 19 |
| ბარნლი | 15 | 5 | 4 | 6 | 23:28 | 19 |
| უოტფორდი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:17 | 16 |
| სტოკი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:20 | 16 |
| კრ. პალასი | 15 | 4 | 4 | 7 | 20:24 | 16 |
| ჯილინგემი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:23 | 16 |
| დერბი | 16 | 3 | 5 | 8 | 16:28 | 14 |
| როტერჰემი | 16 | 2 | 7 | 7 | 10:25 | 13 |
| ბრედფორდი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:25 | 12 |
| უიმბლდონი | 15 | 2 | 1 | 12 | 15:37 | 7 |

## მეორე დივიზიონი

მე-16 ტური: ბარნსლი — გრიმსბი 0:0; ბრაიტონი — სტოკპორტი 0:1; ბრისტოლი — შეფილდ უენსდი 1:1; კოლჩესტერი — ჩესტერფილდი 1:0; ჰარტლპული — უიკომბი 1:1; ლუტონი — პიტერბრო 1:1; ნოტსი — ბრენტფორდი 2:0; ოლდემი — ბორნმუთი 1:1; პლიმუთი — ბლეკპული 1:0; ქუინზ პარკი — ტრანმერი 1:1; რაშდენი — რექსემი 2:3; სუინდონი — პორტ ვეილი 0:0

## მესამე დივიზიონი

მე-16 ტური: ჰალი — ლინკოლნი 3:0; ბოსტონი — ტორკი 4:0; კემბრიჯი — იოვილი 1:4; დარლინგტონი — ბერი 1:3; ჰადერსფილდი — კარლაილი 2:1; კიდერმინსტერი — დონკასტერი 0:2; ლეიტონი — ნორთჰემპტონი 1:1; მაკლსფილდი — საუთენდი 1:2; მენსფილდი — ჩელტენემი 4:0; ოქსფორდი — როვერსი 0:0; როჩდეილი — სუონსი 0:1; სკანთორპი — იორკი 0:0



ჯიმი ჰასელბაინკს დეივიდ სიმენისთვის პრემიერლიგაში ექვსჯერ გაუტანია

REUTERS ლონდონიდან

# სელტიკმა რეინჯერსს, ლარსონმა არველაძეს

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. X ტური

**დანდი იუნ. 1:1 დანდი**
0:1 ნოვო (20პ), 1:1 მაკინტირი (56)
**დანდი:** სპერონი, მაკეი, უილკი, მაირი, ერნანდესი (ბარლი 51), ბრედი, სმიტი, რაე (ფოზერინგემი 70), ნოვო, რავანელი (სარა 89), კაბალიერო
*გიორგი ნემსაძე განაცხადში არ იყო*
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
12 292 მაყურებელი

**ლივინგსტონი 0:0 რეინჯერსი**
**რეინჯერსი:** კლოსი, რიკსენი, მური, ხიზანიშვილი, ბოლი, არტეტა, ემერსონი (ს. ჰიუზი 46), ნერლინგერი (ბარკი 64), ვანოლი, ოსტენსტადი, ნუნუ კაპუშუ
*შოთა არველაძე ტრავმირებულია*
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
9 627 მაყურებელი

**სელტიკი 4:0 აბერდინი**
1:0, 2:0 ლარსონი (4, 28), 3:0 სატონი (45პ), 4:0 ლარსონი (55)

**ჰიბერნიანი 3:1 კილმარნოკი**
1:0 მერდოკი (13), 2:0 რიორდანი (16), 2:1 ნიში (80), 3:1 ოკონორი (90)

**პარტიკი 1:4 ჰართსი**
0:1 კირკი (13), 0:2 დე ვრიზი (27), 0:3 კირკი (30), 1:3 უოდელი (63), 1:4 სიმონსი (74)

*დანფერმლაინი — მოზერუელი გადაიდო*

„სელტიკმა“ მტარვალ მდევართან სხვაობა ორი ქულით გაზარდა, ხოლო ჰენრიკ ლარსონმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში შოთა არველაძესა და ნაჩო ნოვოს გადაასწრო.

„რეინჯერსს“ სამი კაცი აკლდა და სამივე ფორვარდი — არველაძე, მიხაელ მოლსი და პიტერ ლოვენკრანდსი. ჰოდა, გლაზგოელმა „ჩაფრებმაც“ თავდასხმაში ახალგაზრდა ეგილ ოსტენსტადი გაამწესეს, ვინც რამდენიმე ჩინებული შანსი გაანიავა. თუმცა თუ შანსზე მიდგა საქმე, „ლივინგსტონმა“ პირველ ტაიმში სულაც 11-მეტრიანი



REUTERS ლონდონიდან

ლივინგსტონი — რეინჯერსი. შტეფან კლოსმა სტიუარტ ლოველს პენალტი არ გაატანინა

მონადირა, მაგრამ სტიუარტ ლოველს შტეფან კლოსმა აუღო.

დანდურ დერბში არ უთამაშია ტრავმირებულ გიორგი ნემსაძეს. შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმართა ორმხრივი შეტევებითა და მაღალი ტემპით. ნაჩო ნოვომ თავისავე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა.

„დანდის“ შემტევი სამეული — ნოვო, ფაბიან კაბალიერო და ფაბრიციო რავანელი — ძალიან აქტიური იყო. მაგრამ არც „დანდი იუნაიტედის“ თავდასხმა გამოდგა ჯაბანი. ყინჩად ეჭირა თავი ვეტერან ბილი დოდსს, ხოლო ჯიმ მაკინტირმა თავით შეაგდო გამთანაბრებელი.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 10 | 9 | 1 | 0 | 28:3 | 28 |
| რეინჯერსი | 10 | 7 | 2 | 1 | 27:8 | 23 |
| ჰართსი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:14 | 17 |
| დანდი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| ჰიბერნიანი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:14 | 14 |
| ლივინგსტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:10 | 13 |
| მოზერუელი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | 12 |
| დანფერმლაინი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | 12 |
| კილმარნოკი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:20 | 11 |
| დანდი იუნ. | 10 | 2 | 3 | 5 | [illegible] | 9 |
| აბერდინი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:20 | 7 |
| პარტიკ თისლი | 10 | 0 | 2 | 8 | 8:19 | 2 |

### I დივიზიონი

მე-10 ტური: ფოლკირკი — ეარი 0:1; რეითი — ბრეჩინი 2:1; როსი — ქუინი 1:0; სენტ ჯონსტონი — სენტ მირენი 1:0

### II დივიზიონი

მე-10 ტური: არბროთი — დამბარტონი 2:1; ისტ ფაიფი — ფორფარი 2:3; მორტონი — სტენჰაუზმური 5:2; ჰამილტონი — ბერვიკი 2:2

# კიდევ ერთი აბრამოვიჩი
## რუსების ახალი სამიზნე არსენალია

**ბევრი დრო** არ გასულა მას შემდეგ, რაც რომან აბრამოვიჩმა 140 მილიონი გირვანქა გადაიხადა „ჩელსიში“. მისი თანამემამულე მილიარდერი ვლადიმირ პოტანინი კი აცხადებს, რომ შეუძლია 120 მილიონი გირვანქა გადაიხადოს „მეთოფეთა“ ახალი სტადიონის, „აშბარტონ გროუვის“ პროექტის გადასარჩენად, სანაცვლოდ სტადიონის 30 პროცენტს ითხოვს ისე, რომ კლუბის დირექტორობას არ აპირებს, თუმცაღა ამით საკმაო გავლენას მოიპოვებს კლუბში.

ცნობილია, რომ ახალი სტადიონის მშენებლობამ ლამის გაალატაკა „არსენალი“, რომელსაც ტრანსფერის თანხაც კი არა აქვს და არსენ ვენგერმა ამასწინათ თქვა, იანვრის ბაზრობაზე მხოლოდ მაშინ გამოვჩნდები, თუ ღმერთი რამეს გადმომიგდებსო.

პოტანინი 42 წლისაა, „არსენალის“ ფანი და „ჰაიბერის“ ხშირი სტუმარი. მისი ფული სწორედ სულზე მიუსწრებდა „მეთოფეებს“, რომლებიც ახლა იმ ბანკის ძებნაში არიან, რომელიც 260 მილიონს ასესხებს, რაც სტადიონის ღირებულების ნახევარზე მეტია.

აბრამოვიჩის არ იყოს, პოტანინმაც 90-იან წლებში იშოვნა თავისი მილიარდები. მისი პირველი დიდი საქმე იყო „ონექსიმბანკი“, რომელიც 1993 წელს დაარსდა. მერე სხვა ოლიგარქების დარად პოტანინი ელცინის ხელახლა არჩევას მიუდგა და ნახევარ წელიწადს რუსეთის ვიცე-პრემიერიც კი იყო.

ახლა მისი მთავარში კომპანიაა „ინტერროსია“, რომელიც საბჭოთა დროის ოცამდე გიგანტს აერთიანებს. მაგალითად, მისია ნორილსკნიკელი. პოტანინს ასევე აინტერესებს მედია, გემები და სხვა ათასი რამ.

1997 წელს ის დაუნინგ სტრიტზეც კი იყო მიწვეული, სადაც ტონი ბლერი ნავთობის ბიზნესზე ელაპარაკა. პოტანინი არის საკალათბურთო კლუბ „ცსკა“-ს პატრონი.



ვლადიმირ პოტანინი

აბრამოვიჩმა „ჩელსი“ იმიტომ აირჩია, რომ სხვა კლუბებთან ვერაფერი გააწყო, პოტანინს კი „არსენალის“ მეტი არც აინტერესებს. თუმცა მისი სურვილი ერთია, რთული სამართლებრივი პროცედურები კი მეორე, „აშბარტონ გროუვის“ მშენებლობას წინ კიდევ ათასი სხვა სირთულე უძევს.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*



ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი. როი მაკაიმ (მარჯვნივ) სტუმრებს ორჯერ საგოლედ უთავაზა

# ბასტი-ფანტასტი
## ღმერთის და ბედისწერის საკითხი

ირანში საფეხბურთო ღმერთი ალი დაეია, მაგრამ ვაცალოთ ვაჰიდ ჰაშემიანს და იქნებ ღმერთკაცს თავი გაუყადროს. ისე, არც დაეია ეთნიკური ირანელი და არც ჰაშემიანი — ერთი აზერბაიჯანელია, მეორე სომეხი. თუმც გერმანიაში ეს მაინცდამაინც არ აინტერესებთ — დოიჩ ამბავი იმდაა კარგი, რომ „ბოხუმმა“ 3:0 ამოსცხო „დორტმუნდს“. მათიას ზამერის გუნდი სებასტიან კელმა დაალალატა, ვინც იმიტომ გააძევეს, რომ ტომაშ ცდებელს ფეხი ჩასცხო. „ჩვენ ცოტათი უფრო იღბლიანები გამოვდექით და კელის გაძევება ერთობ დაგვეხმარა, მაგრამ ისიცაა, რომ კარგად ვითამაშეთ“ — უთქვამს ნამატჩევს ბოხუმელთა დამრიგებელ პიტერ ნოირურერს.

ლიდერმა „ლევერკუზენმა“ შინ ბერნდ შნაიდერის გოლის წყალობით „გლადბახს“ სძლია, თუმც სტუმრებს გათანაბრება შეეძლოთ — გოლის შემდეგ უპირატესობას „გლადბახი“ ფლობდა, მაგრამ ყოველივე ფუჭი აღმოჩნდა. „გოლამდე მართლაც კარგად ვთამაშობდით, ორგანიზებულად, მაგრამ მერე ცხოვრება გავირთულეთ. არ უნდა მოვდუნდეთ და ის, რომ ამ მომენტისთვის ლიდერები ვართ, აქტუალური სულაც არაა“ — განაცხადა ნამატჩევს ფარმაკოლოგთა დამრიგებელმა კლაუს აუგენტალერმა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ბერლინის „ჰერტამ“, თუმც ჰუუბ სტევენსის საკითხი ხვალ გაირკვევა — „ჰერტამ“ თასსზეც უნდა მოუგოს „ჰანზას“, რათა სტევენსი გუნდიდან არ გაუშვან.

კლაუს ტოპმიოლერის დებიუტი „ჰამბურგში“ წარმატებული გამოდგა მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელებმა გელზენკირხენელებს ვერ მოუგეს. 73-ე წუთამდე მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როცა არგენტინელმა მცველმა ანიბალ მატელანმა ერთი გოლი გაქვითა, „შალკეს“ იმედი მიეცა და ბოლო წუთზე ავსტრიელმა ედი გლიდერმა იუპ ჰაინკესი მორიგი ჩაფლავებისგან იხსნა.

კვლავაც დაუმარცხებელია „შტუტგარტი“, თუმც სადაც სამართალია, ისიც ვთქვათ, რომ „ვოლფსბურგი“ დამარცხებას ნამდვილად არ იმსახურებდა. ტიმო ჰილდებრანდმა რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და „ვოლფსბურგიც“ ამაოდ დაშვრა. სტუმართა რიგებში ყველაზე უფრო პაბლო ტიამი გამოირჩა. მატჩის შემდეგ ფელიქს მაგათმაც აღიარა, იღბალი ჩვენს მხარეს იყოო.

როგორც იქნა, თავისი პირველი ვარსკვლავური მატჩი ითამაშა ბაიერნელმა სებასტიან დაისლერმა. მან ჯერ ჯარიმით გაიტანა შეხვედრის 50-ე წამზე. ბასტი-ფანტასტიმ „ბაიერნის“ მეორე გოლშიც დაიდო წილი, თუმც საგოლე გადაცემა როი მაკაის ზე რობერტომ მიართვა, ლამაზი იყო დაისლერის მეორე გოლი — მან მარჯვენიდან მარცხენა ფეხზე გადაიტანა ბურთი და ტიმ ვიზეს ისე ჩაუხვია. მიროსლავ კლოზემ კი ჯერ 11-მეტრიანი გააცუდა (ოლივერ კანმა აუღო), მაგრამ ორ წუთში გაუტანა თავისი პირველი გოლი „ბაიერნს“, თუმც მიხაელ ბალაკის ჩაწოდებულზე მაკაიმ მეორე თავური შეაგდო და „ლაუტერნი“ დიდი ანგარიშით მარცხს მაინც ვერ ასცდა.

დუბლი მიითვალა ალექსანდრე იაშვილმაც და მისი გარჯა მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ „ფრაიბურგს“ დიდი ანგარიშით არ წაეგო.

„ჰერტას“ დარად ამ ბუნდესლიგაში პირველად მოიგო „აინტრახტმა“, რომელსაც ნიკო ფრომერი და ალბანელი ნახევარმცველი მეჰმეთ დრაგუშა გამოესარჩლნენ.

**დავით თავართქილაძე**

### გერმანია
#### ბუნდესლიგა, X ტური

**ჰამბურგი 2:2 შალკე**

1:0, 2:0 რომეო (29, 68), 2:1 მატელანი (73), 2:2 გლიდერი (90)

ჰამბურგი: ვიახტერი, შლიკე, ჰოოგმა, უიფალუში, ჰოლერბახი (ვიკი 52), მალტრიცი, იაროლიმი, ბარბარესი (ბაინლიხი 59), მაჰდავიკია, რანი, რომეო (ტაკაჰარა 73)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

შალკე: ფ. როსტი, ალკიდესი, ვალდოხი, მატელანი, კობიაშვილი, კ. პოულსენი, როდრიგესი, პინტუ, ასამოა (ტროიანი 77), აგალი (გლიდერი 65), სანდი (ჰანკე 63)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: ჰოლერბახი, იაროლიმი, ბარბარესი, ტაკაჰარა, მატელანი

მსაჯი: შიპელი

55 386 მაყურებელი

**ფრაიბურგი 2:4 ვერდერი**

0:1, 0:2 აილტონი (14, 28), 0:3 მიკუ (37), 1:3 იაშვილი (60), 1:4 კლასნიჩი (65), 2:4 იაშვილი (90)

ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ბ. დიარა, რაიტერი, კრუპკე (კაირო 69), ბაირამოვიჩი, ა. ცაიერი (ვილი 46), ცქიტიშვილი, კულიბალი, იაშვილი, ტანკო (ბერნერი 46)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

ვერდერი: რაინკე, დავალა უმითი, ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ბაუმანი, ლისტეში (შულცი 87), ფ. ერნსტი, მიკუ, აილტონი (ხარისტიასი 69), კლასნიჩი (ბოროვსკი 74)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ბაირამოვიჩი

მსაჯი: შტაინბორნი

25 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:0 გლადბახი**

1:0 შნაიდერი (49)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი, ბაბიჩი, რამელო, ბ. შნაიდერი, ბაშთურქი (ბიროფკა 60), პონტე (ბალიტჩი 82), ბერბატოვი, ფრანცა (ნოივილი 70)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, ასანინი, შტრასერი, ოჯიგვე, გაედე, ულიხი (აიდოო 65), დემო (პლეტჩი 82), კოლკა, სვერკოში (ვან ჰუტი 46), ვან ლენტი

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

გაფრთხილება: ლუსიო, ბერბატოვი, კოლკა, გაედე

მსაჯი: შტარკი

22 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ვოლფსბურგი**

1:0 ამანატიდისი (74)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, სოლდო, ლამი, ვრანიეში (ვენცელი 46), ტიფერტი, გლები (მაისნერი 78), ჰელდტი (ამანატიდისი 66), კურანი, საბიჩი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ვოლფსბურგი: იენჩი, ფრანცი, შნოორი, შარპეი, ტიამი, ვაიზერი (ტოპიჩი 77), კარჰანი, მენსეგეში, დალესანდრო, კლიმოვიჩი, ბაიანო

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: კურანი, ამანატიდისი, სოლდო, შარპეი, კლიმოვიჩი

მსაჯი: ფანდელი

35 000 მაყურებელი

**ბაიერნი 4:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 დაისლერი (1), 2:0 მაკაი (27), 3:0 დაისლერი (69), 3:1 კლოზე (78), 4:1 მაკაი (80)

*კლოზემ ვერ გაიტანა პენალტი (76, მეკარე)*

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ (ლელი 67), დემიკელისი, ბალაკი, დაისლერი, ზე რობერტო (იერემისი 67), მაკაი, სანტა კრუზი (კ. პიზარო 72)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოციდი, ლემბი, მეტომო, ჩატო, ანფანგი, ჰენგენი, კოსოვსკი, დომინგეში (ჰალილ ალტინტოპი 32), ტიმი, კლოზე

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: დემიკელისი, ჰენგენი

მსაჯი: კოოპი

58 000 მაყურებელი

**ბოხუმი 3:0 დორტმუნდი**

1:0, 2:0 ჰაშემიანი (7, 57), 3:0 ოლისე (79)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, პ. ბიონიგი, ოლისე, ცდებელი (სტევიჩი 59), ვოში, ჰაშემიანი (ბ. გუდიონსონი 78), დიაბანგი (ბაკლი 46), პ. მადსენი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ხ. ფერნანდესი, ვიორნსი, ბერგდოლმო, ნ. იენსენი, შ. როიტერი, კელი, დედე (ჟ. რეინა 78), რიკენი (ოდონკორი 83), კოლერი, ევერტონი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: კოლდინგი, ცდებელი, ოლისე, ბაკლი, ვიორნსი, რიკენი

გაძევება: კელი (32)

მსაჯი: ფროილიხი

32 645 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:1 მიუნხენი**

1:0 იდრისუ (34), 1:1 ვაისენბერგერი (35)

ჰანოვერი: ციგლერი, ზურავი, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, ჩერუნდოლო, დე გუზმანი, შულერი (შტენდელი 46), კლებერი (სტაინერი 84), კრუპნიკოვიჩი, კრისტიანსენი, იდრისუ

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, შტრანცლი (კურცი 84), ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, ტისი, გიორლიცი (ბორომიროვი 79), რ. მაიერი, შვარცი, ვაისენბერგერი, ლაუტი (აგოსტინო 66), შროტი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

გაფრთხილება: ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, შტრანცლი, მ. ჰოფმანი

გაძევება: მაიერი (71), კრისტიანსენი (73)

მსაჯი: მერკი

19 754 მაყურებელი

**ჰანზა 0:1 ჰერტა**

0:1 ლუიზაო (32)

ჰანზა: შობერი, ტიკუზუ, მიორლე, ჰილი, მელკამი, ლანცი, პერსონი (ადუბე 46), რიდლევიჩი (არვიდსონი 46), შულცი, მაქსი, პრიკა (დი სალვო 76)

მწვრთნელი: თომას შლიუნცი

ჰერტა: კირალი, რემერი, შიმუნიჩი, ფრიდრიხი, შმიდტი, ნ. კოვაჩი, დარდაი, გოორი, მარსელინიო (მადლუნგი 90), ბობიჩი, ლუიზაო (რაფაელი 71)

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

გაფრთხილება: მიორლე, კოვაჩი, ლუიზაო, დარდაი

მსაჯი: მაიერი

22 000 მაყურებელი

**აინტრახტი 2:0 კიოლნი**

1:0 ფრომერი (63), 2:0 დრაგუშა (80)

აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი (გიუნტერი 46), კრისი, ჩიპი, ვიდენერი, შური, პროისი, მიოლერი (ლექსა 56), კროიცი, ჩა, ფრომერი (დრაგუშა 76)

მწვრთნელი: ვილი რაიმანი

კიოლნი: ვესელსი, დოგანი, ჩიკონი (კენედი 76), სიხონე, შპრინგერი, ო. შროდერი, ჰაინრიხი, ლოტნერი, ჰელბიგი, შერცი (ფედერიკო 70), ებერსი

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

გაფრთხილება: კრისი, სიხონე

მსაჯი: ვაინერი

27 500 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 10 | 8 | 1 | 1 | 23:7 | 16 | 25 | 5 | 5 | 0 | 0 | 13:1 | 12 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 |
| 2 შტუტგარტი | 10 | 7 | 3 | 0 | 13:1 | 12 | 24 | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 4 | 11 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 |
| 3 ვერდერი | 10 | 7 | 1 | 2 | 26:14 | 12 | 22 | 5 | 3 | 1 | 1 | 13:9 | 4 | 10 | 5 | 4 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 12 |
| 4 ბაიერნი | 10 | 6 | 3 | 1 | 25:13 | 12 | 21 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 |
| 5 დორტმუნდი | 10 | 6 | 1 | 3 | 19:11 | 8 | 19 | 5 | 5 | 0 | 0 | 16:4 | 12 | 15 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 4 |
| 6 ბოხუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 19:10 | 9 | 18 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 1 | 7 |
| 7 ვოლფსბურგი | 10 | 5 | 0 | 5 | 20:20 | 0 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 14:7 | 7 | 12 | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | -7 | 3 |
| 8 მიუნხენი | 10 | 4 | 2 | 4 | 9:12 | -3 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 9 ფრაიბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:16 | -2 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 |
| 10 ჰანოვერი | 10 | 3 | 3 | 4 | 18:22 | -4 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 10:9 | 1 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:13 | -5 | 6 |
| 11 შალკე | 10 | 2 | 5 | 3 | 12:16 | -4 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:10 | -3 | 5 |
| 12 ლაუტერნი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:16 | -3 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:12 | -6 | 6 |
| 13 ჰამბურგი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:21 | -12 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | -9 | 2 |
| 14 აინტრახტი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:14 | -6 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 15 ჰერტა | 10 | 1 | 5 | 4 | 8:17 | -9 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:11 | -7 | 2 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:6 | -2 | 6 |
| 16 კიოლნი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:16 | -8 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:7 | -5 | 1 |
| 17 გლადბახი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:15 | -9 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 1 |
| 18 ჰანზა | 10 | 1 | 2 | 7 | 11:20 | -9 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 3 | 5 | 0 | 2 | 3 | 7:13 | -6 | 2 |

*„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 9 |
| მაქსი (ჰანზა) | 7 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 6 |
| კლოზე (კაიზერსლაუტერნი) | 6 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 6 |
| მიკუ (ვერდერი) | 6 |
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |

**XI ტური**

1 ნოემბერი

ვოლფსბურგი — ჰერტა
ლაუტერნი — ლევერკუზენი
გლადბახი — ჰანზა
შტუტგარტი — ფრაიბურგი
ვერდერი — აინტრახტი
კიოლნი — ჰანოვერი
მიუნხენი — ბოხუმი
დორტმუნდი — ჰამბურგი
შალკე — ბაიერნი

### მეორე ბუნდესლიგა
#### X ტური

**ბურგჰაუზენი 2:0 აუე**

1:0 რაისინგერი (56), 2:0 ორუმი (83პ)

აუე: რ. პეტკოვი, კრასელტი, ემერიხი, ნოვესკი, გ. ბერგერი (ფ. ბერგერი 37), ჰაიდრიხი, ჩიპევი, რემი, კური (კურტი 70), შუბითიძე (იანკი 70), ტოპმიოლერი

5 100 მაყურებელი

**ნიურნბერგი 3:2 რეგენსბურგი**

0:1 კუკიელკა (34), 2:0, 3:0 ს. ჩირიჩი (35, 58), 3:1, 3:2 პაულინიუ (78, 84)

**ობერჰაუზენი 3:3 ლიუბეკი**

0:1 აჯიჩი (10), 1:1 რიტპიჩი (25), 1:2 ზანდი (38), 2:2 უედრაოგო (40), 3:2 ველიჩკოვი (71), 3:3 აჯიჩი (73)

**ალენი 2:3 დუისბურგი**

1:0 ბ. ნდიაიე (4), 2:0 ლ. სისე (63), 2:1 ბუგერა (74), 2:2 დრსეკი (76), 2:3 აჰანფუფი (90)

**ალემანია 2:0 ტრირი**

1:0 ბრინკმანი (29), 2:0 კრონტირისი (75)

**კარლსრუე 1:0 ფიურტი**

1:0 ეგიმენი (90)

**ოსნაბრიუკი 2:1 უნტერჰახინგი**

0:1 ზაიფერტი (11), 1:1 ჯაკა (43), 2:1 შულერი (90)

**უნიონი 1:0 არმინია**

1:0 კეიტა (24)

**მაინცი — კოტბუსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 10 | 6 | 2 | 2 | 22:19 | 20 |
| არმინია | 10 | 6 | 1 | 3 | 16:10 | 19 |
| კოტბუსი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:12 | 17 |
| დუისბურგი | 10 | 4 | 4 | 2 | 15:13 | 16 |
| მაინცი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:11 | 15 |
| უნტერჰახინგი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:15 | 15 |
| ბურგჰაუზენი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:11 | 14 |
| კარლსრუე | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | 14 |
| ლიუბეკი | 10 | 3 | 4 | 3 | 18:17 | 13 |
| ნიურნბერგი | 10 | 3 | 4 | 3 | 18:17 | 13 |
| ობერჰაუზენი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:15 | 13 |
| ფიურტი | 10 | 3 | 3 | 4 | 18:16 | 12 |
| ტრირი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:17 | 12 |
| აუე | 10 | 3 | 2 | 5 | 10:12 | 11 |
| რეგენსბურგი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:18 | 10 |
| ოსნაბრიუკი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:17 | 10 |
| უნიონი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:12 | 9 |
| ალენი | 10 | 3 | 0 | 7 | 11:18 | 9 |
| აინტრახტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-13 ტური: ესენი — ქემნიცი 5:0; კილი — პადერბორნი 1:1; ზანკტ პაული — კიოლნი (მ) 4:0; ვატენშაიდი — ვერდერი (მ) 1:6; ბრაუნშვაიგი — ნოიმიუნსტერი 1:1; მიუნსტერი — იურდინგენი 1:1; ვუპერტალი — დორტმუნდი (მ) 1:1; დინამო — ლაიპციგი 1:0; ჰამბურგი (მმ) — შალკე (მ) 3:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-13 ტური: მაინცი (მ) — შვაინფურტი 2:0; შტუტგარტი (მ) — ზაარბრიუკენი 0:0; ჰოფენჰაიმი — ბაიერნი (მ) 2:2; აუგსბურგი — ზიგენი 0:2; ელვერსბერგი — კიკერსი 1:0; პფულენდორფი — აალენი 2:0; ფოიხტი — ოფენბახი 0:3; ეშბორნი — კაიზერსლაუტერნი (მ) 4:1; ვეჰენი — ერფურტი 1:6

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. VIII ტური

**დეპორტივო 2:1 ვალენსია**

1:0 ვალერონი (14), 1:1 მისტა (73), 2:1 ტრისტანი (79)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, სესარი, ჟორჟე ანდრადე, სერხიო, ფრანი (ლუკე 74), ვიქტორი (სკალონი 68), ვალერონი, დუშერი (ტრისტანი 78), პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ვალენსია: კანისარესი, აიალა, მარჩენა, კარბონი, კურო ტორესი (დავიდ ნავარო 62), ალბელდა, ბარახა, ვისენტე რუფეტე (სისკო 65), აიმარი, მისტა (ოლივეირა 77)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კანისარესი, ბარახა, დუშერი, ალბელდა, ვიქტორი, ვალერონი, დავიდ ნავარო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
28 000 მაყურებელი

**რეალი 3:1 რასინგი**

0:1 ბენაიუნი (15), 1:1 ზიდანი (27), 2:1, 3:1 რაული (76, 89)
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ი. ელგერა, კამბიასო (გუტი 62), ზიდანი, რაული, რონალდო (სოლარი 72)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
რასინგი: რიკარდო, კორომინა, ნერუ, პაბლო კასარი, ხუანმა, ნაფტი, მორანი (ჩიკი 83), რეგუერო (ჯონათანი 83), მატეო (აფეკი 81), ბოდიპო, ბენაიუნი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: მორანი, ნაფტი, ზიდანი, ელგერა, გუტი, ხუანმა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
65 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:3 ბარსელონა**

0:1 სავიოლა (9), 0:2 რონალდინიო (23), 0:3 კოკუ (51), 1:3 კორეა (85)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო, კოლსა (კორეა 52), ნენე (ი. სტანკოვიჩი 57), მარკოსი, ეტოო, ბრუგინკი (ნაგორე 52)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, კოკუ, ვან ბრონკჰორსტი, ხერარდი, გაბრი, კვარესმა (სანტამარია 46), მოტა, ლუის გარსია, რონალდინიო (ლუის ენრიკე 70), სავიოლა (კლუივერტი 74)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: პუიოლი, კვარესმა, კორტესი, ვალდესი, სავიოლა
გაძევება: გაბრი (88)
მსაჯი: რუბინოს პერესი
18 000 მაყურებელი

**მურსია 1:3 ატლეტიკო**

0:1 ტორესი (13პ), 0:2 ნიკოლაიდისი (37), 1:2 კარანკა (69), 1:3 ტორესი (82)
მურსია: ხუანმი, ხუანმა, კუადრადო, პედრო ლარგო, ხულიო ალვარესი (კინტანა 71), ფრედი (დ. კარანკა 60), აკიარი, რობერტო (რიჩი 60), სეტვალსი, მიჩელი, ლუის გარსია
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ატლეტიკო: ბურგოსი, სერხი, ლეკი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, მუსამპა (როდრიგო 78), ხორხე (მოვილია 67), სიმეონე, ნოვო, ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი (ნანო 87)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, ნოვო, აკიარი, მუსამპა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
15 000 მაყურებელი

**სოსიედადი 1:0 ოსასუნა**

1:0 კოვაჩევიჩი (76)
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, კარპინი (ხაბი პრიეტო 68), გაბილონდო, ალკისა (არანბურუ 77), კოვაჩევიჩი (ხაურეგი 87), ნიჰატი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, მატეო, კრუჩაგა, პუნიალი, მოა (პინეირო 86), პაბლო გარსია, ვალდო (მუნიოსი 74), ვებო (ალოიზი 83), ბაკაიოკო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ანტონიო ლოპესი, პაბლო გარსია, კვარმე, ისკიერდო, შურერი
მსაჯი: ტრისტანტე ოლივა
28 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:0 ბილბაო**

1:0 სოუზა (16), 2:0 მაკუკულა (54)
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია (კამინერო 65), მარკოსი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი, ოსკარი (რიკეტი 59), ჩემა, ფ. სალესი, მაკუკულა, სოუზა (საპატა 75)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლაკრუსი, სეზარი, ხავი გონსალესი (ესკერო 46), ირაოლა (კარლოს მერინო 46), გურპეგი, დელ ორნო, ტიკო, ხ. ეჩებერია, ურსაისი (ხონანი 65)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ტორეს გომესი, ეჩებერია, სოუზა, რიკეტი, სალესი
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
13 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:4 სელტა**

0:1 ლუქსენი (15პ), 0:2 მილოშევიჩი (59), 0:3 მოსტოვოი (77პ), 0:4 ხანდრო (88)
ესპანიოლი: ლემენსი, ვომე, დავიდ გარსია, ლოპო, ტორიჩელი, დომორო, მორალესი (კრუიფი 61), მაქსი, ტაიფუნი, ბობსონი (ალექს ფერნანდესი 46), ტამუდო (რაულ მოლინა 74)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
სელტა: კაბალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, მოსტოვოი (ხანდრო 79), ხოსე იგნასიო, ლუქსენი, მილოშევიჩი (კატანია 78), ხესული (ანხელი 75)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ლოპო, ტამუდო, ტორიჩელი, ველასკო
გაძევება: ვომე (35), ლემენსი (75)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
13 600 მაყურებელი

**ბეტისი 3:2 ალბასეტე**

0:1 მიკელი (12), 1:1 ტოტე (42), 2:1 ფერნანდო (44პ), 3:1 კაპი (50), 3:2 პარი (66)
ბეტისი: პედრო კონტრერასი, მინგო (რივასი 71), ხუანიტო, ტაისი, ლემბო, ფერნანდო, კაპი, მ. ასუნსაო, დენილსონი (იტო 83), ხოაკინი, ტოტე (ბენხამინი 60)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ალბასეტე: როა, ოსკარი, პენია, პაბლო (ალვარო 27), ბუადესი, ვიაუდი, პარი, დელპორტი, ხ. რედონდო (არანდა 68), მიკელი, ბასტი (დავიდ სანჩესი 57)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: პენია, პარი, არანდა
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
33 000 მაყურებელი

**მალაგა 2:1 სარაგოსა**

1:0 ლიტოსი (28), 2:0 სალვა (43პ), 2:1 დრულიჩი (88)
მალაგა: არნაუ, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარსე, სანსი, რომერო, მანუ (ხერარდო 59), დუდა (ლუკე 69), მიგელ ანხელი, ედგარი, სალვა (დიეგო ალონსო 84)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ალვარო, მილიტო, ჩანი, პონციო, კორონა, დავიდ პირი, ინიაკი (გალეტი 46), სორიანო (დრულიჩი 62), ვილა
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: კორონა, რომერო, ედგარი, ჩანი
მსაჯი: ესკინას ტორესი
20 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 3:3 სევილია**

0:1 კასკერო (3), 1:1 ანდერსონი (10), 1:2 რეიესი (23პ), 2:2 ანდერსონი (69), 2:3 კარლოსი (83), 3:3 არუაბარენა (88)
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი, კოლოჩინი (ხისკო 81), ბელეტი, ბალესტეროსი, რიკელმე, როხერი (ხოსიკო 58), გიარე, ს. ანდერსონი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, პაბლო ალფარო, მარკოს ვალესი, მარტი, კასკერო (აიტორ ოსიო 86), დარიო სილვა, რეიესი (კარლოსი 75), ანტონიტო (გ. რედონდო 67)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: რეიესი, მარკოს ვალესი, ანტონიტო, არუაბარენა, ბალესტეროსი, ხავი ნავარო, როხერი, კოლოჩინი, დანიელ ალვესი
მსაჯი: კარმონა მენდესი
15 000 მაყურებელი

# სამართალმა დეპორტივო მოითხოვა



REUTERS

დეპორტივო — ვალენსია. ენრიკე რომერომ ვალენსიელი კურო ტორესი ბურთისკენ არ გაუშვა

მერვე ტური სენსაციების მდევართათვის უინტერესო, თავისთავად კი ძალიანაც საინტერესო გამოდგა. იმის თქმა გვსურს, რომ „რეალმა“, „ბარსელონამ“, „დეპორტივომ“, „სოსიედადმა“ მოიგეს, ანუ ამ ტურში არცერთი ჯაიანტ კილერი არ გამომხტარა. ბობოლათაგან ერთადერთი „ვალენსია“ დამარცხდა და ისიც „დეპორტივოსთან“, რაც სენსაციად, ცხადია, ვერ აღიქმება.

ვისაც მოგება ერგებოდა, მოიგო, მაგრამ თავად მატჩები იყო დაძაბული და უშელავათო.

მთავარი მატჩი ცხადია, „რიასორზე“ შედგა. „ვალენსია“ პრიმერას ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩებოდა და მისტას გამთანაბრებელი გოლის მერე, თამაშის დასრულებამდე 16 წუთით ადრე რომ გაიტანა, თითქოს კვლავ არ უნდა დამარცხებულიყო. მაგრამ სამართლიანობა „დეპორტივოს“ გამარჯვებას ითხოვდა. ლაკორუნიელებმა დიდებულად ითამაშეს და ნაღდად იმსახურებდნენ სამ ქულას. მასპინძლებს გამარჯვება დიეგო ტრისტანის საჯარიმო დარტყმამ მოუტანა და გუნდებმა ცხრილში ადგილებიც გაცვალეს — ლიდერი ახლა „დეპორტივოა“.

ეგებ გახსოვდეთ, წინა სეზონში „რეალი“ ძალიან ხშირად უშვებდა გოლს, მეტოქეს ჰანდიკაპს აძლევდა და მერე იწყებდა თამაშს. თითქოს ეს ტრადიცია გაიხსენესო, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირველი გოლი სანტანდერელებმა გაიტანეს. ფერნანდო მორანის დარტყმული მასპინძლებმა უკუაგდეს და ებრაელმა იოსი ბენაიუნმა მეორე დარტყმით გაიტანა. ამის მერე „რასინგს“ კიდევ ჰქონდა ორიოდე ხეირიანი მომენტი, მაგრამ ქარს გაატანა და როგორც მოსალოდნელი იყო, „რეალის“ ჯერიც დადგა. ზინედინ ზიდანმა რონალდოს პასით პირველივე ტაიმში გაათანაბრა. შესვენების მერე კი, უფრო სწორად, როცა თამაში დასასრულისკენ მიდიოდა, რაულმა დუბლი მიითვალა. დავძინოთ, რომ მარცხის მიუხედავად „რასინგმა“ ძალიან კარგად ითამაშა და ჩანს, შემთხვევითი სულაც არ იყო, ეს გუნდი აქამდე მეხუთე ადგილზე რომ გახლდათ.

თვეზე მეტი გასულიყო, რაც „რეალ სოსიედადს“ პრიმერაში თამაში არ მოეგო. შუა კვირაში ტურინში მძიმე მატჩგადატანილ სანსებასტიანელებს ფრიად გაუჭირდათ „ოსასუნას“ ძლევა, მით უფრო, რომ პამპლონელებმაც, „რასინგის“ მსგავსად, ძალიან კარგად დაიწყეს ჩემპიონატი.

მართალია, მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ იერიშების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა უჭირდათ. ბოლოს ნავსი დარკო კოვაჩევიჩმა გატეხა, რომელმაც აიტორ ლოპეს რეკარტეს ჩაწოდებულს თავი ზუსტად დაჰკრა.

„ბარსელონამ“ როგორც იქნა მოიგო. კატალონიელებს წინა ხუთი მატჩიდან ერთშიც ვერ ემარჯვათ და თანაც ძალიან კარგადაც ითამაშეს. „ბარსა“ ხავიერ სავიოლას გოლით დაწინაურდა. მერე რონალდინიომ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო, ფილიპ კოკუმ კი ტიაგო მოტას პასს მიუჩინა ადგილი. თუმცა სულ ბოლოს სტუმრებს მაინც შეემთხვათ ერთი უსიამოვნო ამბავი. არა, მალიორკელთა ერთ საპასუხო გოლს არ ვგულისხმობთ, წამატებულ დროში გაბრის გაძევებაზე მოგახსენებთ. და მაინც, მთავარია, რომ „ბარსა“ მეთერთმეტედან მეშვიდე ადგილამდე აღზევდა.

სხვა მატჩებიდან უთუოდ გამოსარჩევია „ვილიარეალისა“ და „სევილიას“ ექვსგოლიანი თრილერი. მთავარი ამბები აქ მატჩის დასაწყისში და ბოლოში მოხდა. მეათე წუთისთვის მეტოქეებს უკვე თითო გოლი ჰქონდათ გატანილი, თამაშის ბოლო წუთებზე კი ვითარება ელვის სისწრაფით შეიცვალა. 83-ეზე კარლოსმა მესამედ დააწინაურა სტუმარი გუნდი და მასპინძლები თითქოს ახლა მაინც უნდა დანებებულიყვნენ. მაგრამ ბოლოსწინა წუთზე როდოლფო არუაბარენას გოლით „ვილიარეალმა“ მესამედ გაათანაბრა.

წყალწაღებული „ესპანიოლი“ კი ისევ დამარცხდა და დივიზიონის ერთადერთ გუნდად რჩება, ჯერ თამაში რომ არ მოუგია. როგორც ჩანს, გაისად პრიმერაში მხოლოდ ერთი ბარსელონური გუნდი ითამაშებს.

**ქოტე ქექელია**

|  |  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № |  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 8 | 7 | 0 | 1 | 19:6 | 13 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 |
| 2 | რეალი | 8 | 6 | 1 | 1 | 20:9 | 11 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 14:5 | 9 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 |
| 3 | ვალენსია | 8 | 6 | 1 | 1 | 14:3 | 11 | 19 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 |
| 4 | ოსასუნა | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 3 | 14 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 |
| 5 | ბეტისი | 8 | 3 | 4 | 1 | 12:9 | 3 | 13 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 1 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 |
| 6 | სოსიედადი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 7 | ბარსელონა | 8 | 3 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 12 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 |
| 8 | რასინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 2 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 5 |
| 9 | ბილბაო | 8 | 3 | 2 | 3 | 10:8 | 2 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:1 | 6 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 |
| 10 | სევილია | 8 | 2 | 5 | 1 | 11:10 | 1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 | 4 | 0 | 4 | 0 | 6:6 | 0 | 4 |
| 11 | ვილიარეალი | 8 | 2 | 5 | 1 | 10:9 | 1 | 11 | 4 | 0 | 4 | 0 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 12 | მალაგა | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | -3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 13 | ატლეტიკო | 8 | 3 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 14 | ვალიადოლიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:17 | -6 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:12 | -7 | 1 |
| 15 | სელტა | 8 | 2 | 3 | 3 | 11:11 | 0 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 5 |
| 16 | სარაგოსა | 8 | 2 | 1 | 5 | 6:10 | -4 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | 2 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 1 |
| 17 | ალბასეტე | 8 | 2 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 1 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | -6 | 0 |
| 18 | მურსია | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 |
| 19 | მალიორკა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | -8 | 0 |
| 20 | ესპანიოლი | 8 | 0 | 2 | 6 | 7:20 | -13 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | -7 | 1 |

### ბომბარდირები

|  |  |
|---|---|
| პანდიანი (დეპორტივო) | 6 |
| რონალდო (რეალი) | 6 |
| მისტა (ვალენსია) | 6 |
| მილოშევიჩი (სელტა) | 5 |
| რაული (რეალი) | 5 |

### X ტური
2 ნოემბერი

|  |  |
|---|---|
| ბეტისი | ატლეტიკო |
| სელტა | რასინგი |
| ესპანიოლი | სარაგოსა |
| რეალი | ბილბაო |
| სოსიედადი | ბარსელონა |
| ვალიადოლიდი | ალბასეტე |
| მალიორკა | ვალენსია |
| ვილიარეალი | ოსასუნა |
| მურსია | დეპორტივო |
| მალაგა | სევილია |

## სეგუნდადივიზიონი
### IX ტური

**სიუდად მურსია 2:1 რაიო ვალეკანო**
1:0 გუიზა (62), 2:0 აგილარი (80), 2:1 იდიაკესი (84)

**ალხესირასი 2:2 უელვა**
0:1 უჩე (36), 0:2 ტოედტლი (70), 1:2 არმენტანო (84პ), 2:2 სეკეიროსი (89)

**ეიბარი 3:1 ტერასა**
0:1 მაიკელი (53), 1:1 გარიტანო (67), 2:1 კუევასი (74), 3:1 ბრიტი (86პ)

**ნუმანსია 2:0 ელჩე**
1:0 ფაგიანი (62), 2:0 მიგელ პერესი (72)

**ხეტაფე 1:1 სალამანკა**
1:0 ალბერტო (9), 1:1 რაულ სანჩესი (35)

**ალმერია 1:0 ლევანტე**
1:0 ფრანსისკო (86)

**მალაგა B 0:1 ლას პალმასი**
0:1 რუბენი (2)

**ალავესი 1:0 კორდობა**
1:0 ბერუე (88ს.კ.)

**კადისი 1:2 ლეგანესი**
0:1 ჩიკი (36), 1:1 ოლი (50), 1:2 ტურდო (88)

**სპორტინგი 3:0 ხერესი**
1:0 ხუანი (42), 2:0 ბაუზა (77), 3:0 ბორეგერო (88)

**ტენერიფე 0:1 პოლი ეხიდო**
0:1 კალადო (69პ)

|  |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| ალმერია | 9 | 4 | 5 | 0 | 11:7 | 17 |
| ლევანტე | 9 | 4 | 4 | 1 | 11:4 | 16 |
| კადისი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:10 | 16 |
| ალავესი | 9 | 4 | 3 | 2 | 8:5 | 15 |
| ეიბარი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:6 | 13 |
| სპორტინგი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| სიუდად მურსია | 9 | 2 | 6 | 1 | 11:10 | 12 |
| ტენერიფე | 9 | 2 | 6 | 1 | 8:7 | 12 |
| ლეგანესი | 9 | 2 | 6 | 1 | 7:6 | 12 |
| ხეტაფე | 9 | 2 | 6 | 1 | 8:8 | 12 |
| ელჩე | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| ლას პალმასი | 9 | 2 | 5 | 2 | 11:12 | 11 |
| უელვა | 9 | 1 | 7 | 1 | 8:8 | 10 |
| ხერესი | 9 | 1 | 7 | 1 | 5:7 | 10 |
| სალამანკა | 9 | 1 | 6 | 2 | 6:8 | 9 |
| ეხიდო | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | 9 |
| ალხესირასი | 9 | 1 | 5 | 3 | 10:10 | 8 |
| რაიო | 9 | 2 | 2 | 5 | 10:15 | 8 |
| კორდობა | 9 | 0 | 6 | 3 | 5:8 | 6 |
| მალაგა B | 9 | 0 | 5 | 4 | 7:12 | 5 |
| ტერასა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 |

## იტალია

### სერია A. VII ტური

**სამპდორია 0:3 მილანი**

0:1 ტომასონი (38), 0:2, 0:3 შევჩენკო (59, 90)
სამპდორია: ანტონიოლი, საკეტი, კაროციერი, ფალკონე, ბეტარინი, იანაგისავა (ჟივკოვიჩი 46), ვოლპი, პალომბო (დონი 56), დიანა, ფლაკი (კოლომბო 64), ბაცანი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
მილანი: დიდა, შიმიჩი (პანკარო 74), ნესტა, მალდინი, სერჟინიო (ლაურსენი 89), გატუზო, პირლო, ზეედორფი (კაკა 85), რუი კოშტა, შევჩენკო, ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ვოლპი, შიმიჩი, კაროციერი
მსაჯი: როზეტი
35 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:0 ბრეშა**

1:0 ნედველი (6), 2:0 ტრეზეგე (45)
*ბაჯომ ვერ გაიტანა პენალტი (4, მეკარე)*
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (ტუდორი 46), აპია, დავიდსი (ბირინდელი 70), ნედველი (მარესკა 79), ტრეზეგე, მიკოლი
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ბრეშა: სახა, პეტრუცი, მარეკო (სტანკევიჩიუსი 74), დაინელი, ჟ. მარტინესი, ა. ფილიპინი (ბრიგი 49), დი ბიაჯო, ბაკინი (მანიერო 80), მატუზალემი, რ. ბაჯო, კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
| 22.00 | 682 | ჰოფენჰაიმი-კარლსრუე | 2.9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 22.00 | 683 | უნიონი-ლევერკუზენი | 7,0 | 4.0 | 1,4 | 2,54 | 1,16 | 1,03 |
| 22.00 | 684 | ფრაიბურგი-შალკე | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 22.00 | 685 | ალემანია-მიუნხენი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1.32 |
| 22.00 | 686 | უნტერჰახინგი-ჰამბურგი | 3,2 | 3,3 | 2,05 | 1,62 | 1,24 | 1,26 |
| 23.30 | 687 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 3,2 | 3,2 | 2.1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| | | **იტალია. თასი. II ეტაპი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 688 | ემპოლი-ვენეცია | 1,5 | 3,6 | 6.0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **საფრანგეთი. თასი. 1/16 ფინალი.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 696 | ბასტია-ნიცა | 2,4 | 3,0 | 2.8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 23.00 | 697 | ისტრი-რენი | 1.6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 23.00 | 698 | მეცი-გენგამი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.00 | 699 | მონპელიე-კლერმონი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.00 | 700 | ნანტი-ნანსი | 1,3 | 4,2 | 9.0 | 1 | 1,13 | 2,86 |
| 23.00 | 701 | სტრასბური-ბორდო | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1.2 | 1,28 | 1,63 |
| 23.00 | 702 | ტრუა-კრეტეი | 1,75 | 3.1 | 4.6 | 1,11 | 1,26 | 1,85 |
| 23.00 | 703 | ლანსი-ლილი | 2.6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 23.00 | 704 | სტ.ეტიენი-ბრესტი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.00 | 705 | სედანი-ლორიანი | 1,95 | 3.1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოლანდია. თასი. III ეტაპი.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 712 | ჰერენვენი-ტელსტარი | 1,15 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,05 | 4,05 |
| 23.00 | 713 | როზენდალი-გრონინგენი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.00 | 714 | ექსცელსიორი-სპარტა | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| 23.00 | 715 | ვიტესი-ვოლენდამი | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |
| | | **სლოვაკეთი. თასი 1/4 ფინალი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 727 | ტრნავა-ჟილინა | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| | | **ხორვატია. თასი 1/8 ფინალი.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 728 | ჰაიდუკი-ზადარი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1015 | ზლინი-პლზენი | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| 20.00 | 1016 | ტრჟინეცი-სპარტა | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.30 | 1017 | ლიტვინოვი-ვსეტინი | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.30 | 1018 | ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1,52 |
| 21.00 | 1019 | ლიბერეცი-კლადნო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 21.00 | 1020 | პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 1,35 | 4,8 | 5,3 | 1,05 | 1,07 | 2,51 |
| 21.00 | 1021 | სლავია-ზნოიმო | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,68 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1046 | ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,4 |
| 22.30 | 1047 | ჰამბურგი-კასელი | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1061 | ბაზელი-რაპერსვილი | 2,4 | 4,4 | 2,05 | 1,55 | 1,1 | 1,39 |
| 22.30 | 1062 | ბერნი-კლოტენი | 1,45 | 4,8 | 4,4 | 1,11 | 1,09 | 2,29 |
| 22.30 | 1063 | დავოსი-ლანგნაუ | 1,4 | 5,0 | 4,6 | 1,09 | 1,07 | 2,39 |
| 22.30 | 1064 | ფრიბურგი-ციურიხი | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1,44 | 1,12 | 1,48 |
| 22.30 | 1065 | ცუგი-სერვეტი | 1,85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| 23.00 | 1066 | ამბრი-ლუგანო | 2,8 | 4,4 | 1,8 | 1,71 | 1,09 | 1,27 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1079 | იურგორდენი-ფერიესტადი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1092 | ჰელსინკი-საიპა | 1,4 | 5,0 | 4,6 | 1,09 | 1,07 | 2,39 |
| 20.30 | 1093 | იუვესკულე-პელიკანსი | 1,6 | 4,8 | 3,4 | 1,2 | 1,08 | 1,99 |
| 20.30 | 1094 | კერპეტი-იოკერიტი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| 20.30 | 1095 | ესპოო-ტაპარა | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| | | **ჰოკეი. NHL.** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1109 | ბაფალო-მინესოტა | 2,0 | 3,6 | 2,8 | 1,28 | 1,16 | 1,57 |
| 04.00 | 1110 | კაროლინა-სან ხოსე | 2,2 | 3,5 | 2,5 | 1,35 | 1,17 | 1,45 |
| 04.00 | 1111 | მონრეალი-ბოსტონი | 2,25 | 3,5 | 2,45 | 1,36 | 1,17 | 1,44 |
| 04.00 | 1112 | აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2,4 | 3,5 | 2,3 | 1,42 | 1,17 | 1,38 |
| 04.30 | 1113 | რეინჯერსი-ანაჰაიმი | 1,85 | 3,6 | 3,1 | 1,22 | 1,15 | 1,66 |
| 05.00 | 1114 | სტ.ლუისი-ნეშვილი | 1,65 | 3,8 | 3,8 | 1,15 | 1,15 | 1,9 |
| 06.00 | 1115 | ფინიქსი-ჩიკაგო | 1,85 | 3,6 | 3,1 | 1,22 | 1,15 | 1,66 |
| 06.30 | 1116 | კოლორადო-კალგარი | 1,6 | 4,0 | 4,0 | 1,14 | 1,14 | 2 |
| 07.00 | 1117 | ვანკუვერი-კოლამბუსი | 1,7 | 3,8 | 3,6 | 1,17 | 1,15 | 1,84 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1200 | ფილადელფია-მაიამი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| 05.00 | 1201 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 07.30 | 1202 | ლეიკერსი-დალასი | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| | | **რაგბი. მსოფლიოს თასი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 12.30 | 1247 | საქართველო-ურუგვაი | 1,25 | 20,0 | 3,5 | | | |
| | 1248 | საქართველო-ურუგვაი 0:11 | 1,8 | 10,0 | 1,8 | | | |
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 5001 | სარაგოსა-რეალი | 5,3 | 2,25 | 2,0 | 1,57 | 1,45 | 1,05 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 5002 | ბილბაო-მალაგა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 24.00 | 5003 | სევილია-ვალიადოლიდი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 24.00 | 5004 | ვალენსია-სელტა | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 24.00 | 5005 | ალბასეტე-ვილიარეალი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 24.00 | 5006 | ოსასუნა-ბეტისი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 24.00 | 5007 | ბარსელონა-მურსია | 1,5 | 3,1 | 7,5 | 1,01 | 1,25 | 2,19 |
| 24.00 | 5008 | დეპორტივო-მალიორკა | 1,55 | 3,0 | 7,0 | 1,02 | 1,26 | 2,09 |
| 24.00 | 5009 | რასინგი-ესპანიოლი | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 00.30 | 5010 | ატლეტიკო-სოსიედადი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| დრო | № | მატჩი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 5501 | სარაგოსა-რეალი | 3.0 | 2.8 | 2,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 5502 | ბილბაო-მალაგა | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 24.00 | 5503 | სევილია-ვალიადოლიდი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 24.00 | 5504 | ვალენსია-სელტა | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 24.00 | 5505 | ალბასეტე-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5506 | ოსასუნა-ბეტისი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 24.00 | 5507 | ბარსელონა-მურსია | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 24.00 | 5508 | დეპორტივო-მალიორკა | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 24.00 | 5509 | რასინგი-ესპანიოლი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 00.30 | 5510 | ატლეტიკო-სოსიედადი | 3,0 | 2.8 | 2.0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| დრო | № | მატჩი | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|---|
| | | **28 ოქტომბერი** | | |
| 24.00 | 5201 | სარაგოსა-რეალი | 2,1- | 1.55 |
| | | **29 ოქტომბერი** | | |
| 24.00 | 5202 | ბილბაო-მალაგა | 1.85- | 1.75 |
| 24.00 | 5203 | სევილია-ვალიადოლიდი | 1,85- | 1.75 |
| 24.00 | 5204 | ვალენსია-სელტა | 1,8- | 1.8 |
| 24.00 | 5205 | ალბასეტე-ვილიარეალი | 1,8- | 1.8 |
| 24.00 | 5206 | ოსასუნა-ბეტისი | 1,85- | 1,75 |
| 24.00 | 5207 | ბარსელონა-მურსია | 2,0- | 1,6 |
| 24.00 | 5208 | დეპორტივო-მალიორკა | 2,0- | 1.6 |
| 24.00 | 5209 | რასინგი-ესპანიოლი | 1.9- | 1.7 |
| | | **30 ოქტომბერი** | | |
| 00.30 | 5210 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.85- | 1.75 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| დრო | № | მატჩი | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **28 ოქტომბერი** | | |
| 24.00 | 5301 | სარაგოსა-რეალი | 1,6-2,0 | |
| | | **29 ოქტომბერი** | | |
| 24.00 | 5302 | ბილბაო-მალაგა | 1,6 | -2,0 |
| 24.00 | 5303 | სევილია-ვალიადოლიდი | 1,65- | 1,95 |
| 24.00 | 5304 | ვალენსია-სელტა | 1,7- | 1,9 |
| 24.00 | 5305 | ალბასეტე-ვილიარეალი | 1,6 | -2,0 |
| 24.00 | 5306 | ოსასუნა-ბეტისი | 1,6- | 2,0 |
| 24.00 | 5307 | ბარსელონა-მურსია | 1,8- | 1,8 |
| 24.00 | 5308 | დეპორტივო-მალიორკა | 1,7- | 1,9 |
| 24.00 | 5309 | რასინგი-ესპანიოლი | 1,6- | 2,0 |
| | | **30 ოქტომბერი** | | |
| 00.30 | 5310 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1,6- | 2,0 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| დრო | № | მატჩი | | |
|---|---|---|---|---|
| | | **28 ოქტომბერი** | | |
| 24.00 | 5401 | სარაგოსა-რეალი | 2,8-1,45 | |
| | | **29 ოქტომბერი** | | |
| 24.00 | 5402 | ბილბაო-მალაგა | 1,5 | -2,6 |
| 24.00 | 5403 | სევილია-ვალიადოლიდი | 1,5 | -2,6 |
| 24.00 | 5404 | ვალენსია-სელტა | 1.35- | 3.2 |
| 24.00 | 5405 | ალბასეტე-ვილიარეალი | 1,85- | 1,95 |
| 24.00 | 5406 | ოსასუნა-ბეტისი | 1,8- | 2,0 |
| 24.00 | 5407 | ბარსელონა-მურსია | 1,25- | 3,6 |
| 24.00 | 5408 | დეპორტივო-მალიორკა | 1,3- | 3,4 |
| 24.00 | 5409 | რასინგი-ესპანიოლი | 1,4- | 3,0 |
| | | **30 ოქტომბერი** | | |
| 00.30 | 5410 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1,85- | 1,95 |

| დრო | № | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 5101 | სარაგოსა-რეალი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 5102 | ბილბაო-მალაგა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 24.00 | 5103 | სევილია-ვალიადოლიდი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 24.00 | 5104 | ვალენსია-სელტა | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 24.00 | 5105 | ალბასეტე-ვილიარეალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 24.00 | 5106 | ოსასუნა-ბეტისი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 24.00 | 5107 | ბარსელონა-მურსია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 24.00 | 5108 | დეპორტივო-მალიორკა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 24.00 | 5109 | რასინგი-ესპანიოლი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 00.30 | 5110 | ატლეტიკო-სოსიედადი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# RUGBY WORLD CUP 2003

## ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## საქართველო VS ურუგვაი

24 ოქტომბერი. სიდნეი. «ოზი». 12.30 საათი

# სორელის ოპტიმალური ოპტიმიზმი

*დღეს საქართველოს ნაკრები თავის ბოლო სამსოფლიოსთასო მატჩს გამართავს ურუგვაისთან. ქართველები ავსტრალიაში გამოსვლას სწორედ იმ შეხვედრით დაამთავრებენ, რომლის გულისთვისაც ჩავიდნენ მწვანე კონტინენტზე. თორემ ინგლისთან, სამხრეთ აფრიკასთან და სამოასთან რომ წააგებდნენ, ამას წყალი არ გაუვიდოდა.*

*ერთი სიტყვით, ჩვენებმა დღეს უსიკვდილოდ უნდა მოიგონ, რაკი არც მეტოქეა დიდი ხვითო და ბორჯღალოსნებმაც, ძირითადებმაც და ავსტრალიაში სამარქაფოდ წაყვანილებმაც საკმაო გამოცდილება მიიღეს.*

*როგორც წესია, ჩვენების მწვრთნელმა კლოდ სორელმა მატჩამდე 48 საათით ადრე დაასახელა ურუგვაელ „ხარებთან“ გასაყვანი 22 კაცი. სამხრეთამერიკელებს ძირითადად სამხრეთ აფრიკასთან თავგამოჩენილი ბორჯღალოსნები დაეჯახებიან. ეტყობა, სორელს ძალიან მოეწონა სამარქაფოთა თავდადება და პრინციპულ მატჩში ისინი ძირითად გუნდში დააწინაურა. მით უმეტეს, რომ შემადგენლობის გადახალისების მიზეზი წამყვანი მოთამაშეების ტრავმებიცაა. ურუგვაისთან არ ითამაშებს აქამდე ძირითადი 9 ნომერი ირაკლი აბუსერიძე, რომელსაც სორელმა ამ ჯერზე ირაკლი მოდებაძე და მერაბ კვირიკაშვილი ამჯობინა. სამხრეთ აფრიკასთან ნათამაშებთაგან ურუგვაისთან კვლავ ძირითადში იქნებიან ირაკლი მაჩხანელი, არჩილ ქავთარაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი მოდებაძე, გიორგი ჩხაიძე, სერგო გუჯარაიძე, ავთო კოპალიანი და დავით დადუნაშვილი. ნაკრების ვიცე-კაპიტანი ვასილ კაცაძე სორელმა მუხლის ტრავმის გამო სამარქაფოებში ჩაწერა. ტრავმები სახელდება ვანო ნადირაძის, ვიქტორ დიდებულიძის, ბადრი ხეხელაშვილის და გია ლაბაძის 22 კაცში ვერმოხვედრის მიზეზად.*



ირაკლი მაჩხანელმა ძირითადი დაიმსახურა

# ქართველები ისეთმა კაცმა დალოცა...

*გუშინ ავსტრალიაში საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს დავუკავშირდით და ურუგვაისთან მატჩისწინა ამბები გამოვკითხეთ.*

— გუნდში საბრძოლო განწყობაა, ყველა ერთს ვფიქრობთ, უნდა მოვიგოთ და მსოფლიოს თასზე თუნდაც ერთი გამარჯვებით ქართველ ხალხს სიხარული ვაჩუქოთ.

— ურუგვაისთან სათამაშოდ ნაკრები ალბათ განსაკუთრებულად ემზადება.

— ბიჭები ისეთი სერიოზულობით ეკიდებიან საქმეს, როგორც არასდროს. თანაც სამხრეთ აფრიკასთან მატჩის შემდეგ ძალების აღდგენა შეძლეს. ურუგვაის აუცილებლად უნდა მოვუგოთ. ეს სავსებით რეალურია.

— სორელის მიერ შერჩეულ შემადგენლობას არც ოპტიმალური ეთქმის და არც ექსპერიმენტული...

— გეთანხმებით, მაგრამ ეს არის ყველაზე ოპტიმალური შემადგენლობა, რომელიც შეიძლება ხვალ ურუგვაის გავუყვანოთ. რამდენიმე მორაგბე ტრავმების გამო მოვისაკლისეთ, ზოგიერთი სორელმა შეცვალა, რადგან სამხრეთ აფრიკასთან სამმა-ოთხმა სათადარიგომ ძალიან კარგად ითამაშა და ძირითადში ადგილი მოიპოვა. სორელს სჯერა, რომ ამ ოცდაორი კაცით ურუგვაის დაამარცხებს.

სხვათა შორის, ჩვენი გამარჯვების ვიქტორ სანეევსაც სჯერა. იგი დღეს გვესტუმრა და ბიჭებთან ერთად ისადილა. ყველა ადღეგრძელა და თქვა, რომ მათი მარტო აქ ყოფნითაც კი ამაყობს. სანეევის გარდა აქ მცხოვრები ოცამდე ქართველიც მოვიდა და ოთხშაბათს მთელი გუნდი ქართულ სუფრაზე დაგვპატიჟეს.

**— მანდაური პრესა-ტელევიზია როგორ ეხმაურება საქართველო — ურუგვაის მატჩს?**

— აქ დაიწერა, რომ ჩვენ უნდა მოვიგოთ, საქართველო ამას იმსახურებს. ერთ-ერთ სიდნეურ ტელეარხზე წამყვანმა თქვა, რომ საწყენი იქნება, თუ საქართველოს ნაკრები უქულოდ დაასრულებს ტურნირსო. ისე, ჩვენს მატჩზე 35 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია და სტადიონის ასი პროცენტით გავსებას ვარაუდობენ.

**ბაჩო სვანიძე**

| საქართველო | | ურუგვაი |
|---|---|---|
| ირაკლი მაჩხანელი | 15 | ხუან მენჩასა |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 14 | ალფონსო კარდოსო |
| თედო ზიბზიბაძე | 13 | დიეგო ადირე (კაპ) |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | მარტინ მენდარო |
| არჩილ ქავთარაშვილი | 11 | კარლოს ბალდასარი |
| პალიკო ჯიმშელაძე | 10 | სებასტიან აგირე |
| ირაკლი მოდებაძე | 9 | ხუან კამპომარი |
| ილია ზედგინიძე (კაპ) | 8 | როდრიგო კაპო |
| გრეგუარ იაშვილი | 7 | ერნან პონტე |
| გიორგი ჩხაიძე | 6 | ნიკოლას გრილი |
| სერგო გუჯარაიძე | 5 | ხუან ალსუეტა |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 4 | ხუან კარლოს ბადო |
| ავთანდილ კოპალიანი | 3 | პაბლო ლემონი |
| დავით დადუნაშვილი | 2 | დიეგო ლამელასი |
| გოდერძი შველიძე | 1 | როდრიგო სანჩესი |
| **სათადარიგოები** | | |
| აქვსენტი გიორგაძე | 16 | ხუან ანდრეს პერესი |
| სოსო ნიკოლაენკო | 17 | ედუარდო ბერუტი |
| გიორგი წიკლაური | 18 | გილერმო ტორასი |
| დავით ბოლღაშვილი | 19 | ნიკოლას ბრინონი |
| მერაბ კვირიკაშვილი | 20 | მარსელო გუტიერესი |
| ვასილ კაცაძე | 21 | ბერნანდო ამარილო |
| ბესიკ ხამაშურიძე | 22 | ჟაკ პასტორე |

**მსაჯი:** ენდრიუ კოული (ავსტრალია)



ავსტრალიელმა კრის ლეთემმა საცოდავ ნამიბიელებს ხუთი ლელო გაუტანა

### A ჯგუფი

**25 ოქტომბერი**

**ავსტრალია 142:0 ნამიბია**

ავსტრალია: ლეთემი, ტუკირი, მორტლოკი (ბერი), გრეი (ტურინუი), როჯერსი, ჟიტო, იტეკერი; ლაიონზი (როუ), კროფტი, სმიტი (კოკბეინი), შარპი (გიფინი), ჰარისონი, დარვინი, კოლი, დემინგი

22 ლ: ლეთემი (5), ლაიონზი, მორტლოკი, ტუკირი (3), ტექნიკური, როჯერსი (2), პოლი, ჟიტო (3), გრეი, ტურინუი (2), ბერკი, როუ; 16 გ: როჯერსი

**26 ოქტომბერი**

**ირლანდია 16:15 არგენტინა**

ირლანდია: დემპსი, შ. ჰორგანი, ოდრისკოლი, მაგსი, ჰიკი, ჰემფრიზი (ოგარა), სტრინგერი; კოსტელო, ქვინლანი (მილერი), ს. ისტერბი, ოკონელი, ოკელი, ჰეისი, ვუდი, კორიგანი (ჰორანი)

1ლ: ქვინლანი; 1გ: ჰემფრიზი; 3ს: ჰემფრიზი, ოგარა (2)

არგენტინა: კორლეტო, იოსეკი, ორენგო, მ. კონტეპონი, ალბანეზე, კესადა, პიშო; ლონგო, მარტინი, ოსტილია, ალვარესი, ფერნანდეს ლობე, რეჯიარდო (სკელცო), მენდესი, გრაუ

3ს: კესადა; 2ა: კესადა, კორლეტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | +240 | 14 |
| ირლანდია | 3 | 0 | 0 | +96 | 14 |
| არგენტინა | 2 | 0 | 2 | +93 | 11 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 3 | -157 | 0 |
| ნამიბია | 0 | 0 | 3 | -252 | 0 |

### B ჯგუფი

**25 ოქტომბერი**

**საფრანგეთი 51:9 შოტლანდია**

საფრანგეთი: ბრუსკე, რუჟერი, მარში (ტრაილე), ჟოზიონი, დომინისი, მიშალაკი, გალტიე (მერსერონი); არინორდოკი (ბრუზე), მანი (ტაბაკო), ბესენი, ტიონი, პელუ, მარკონე (მიუ), იბანესი (ბრუ), კრენკა

5ლ: ბესენი, არინორდოკი, მიშალაკი, დალტიე, ბრუსკე; 4გ: მიშალაკი; 4ს: მიშალაკი; 2ა: მიშალაკი, ბრუსკე

შოტლანდია: მეტკაფი, პატერსონი, კრეიგი, ჰენდერსონი (მაკლარენი), ლოგანი, თაუნსენდი, რედფესი; ტეილორი (პეტრი), მეიზერი, უაითი, გრამზი, მერი (ჰაინსი), ქერი (დუგლასი), ბალოკი (რასელი), სმიტი

3ს: პატერსონი

**27 ოქტომბერი**

**აშშ 39:26 იაპონია**

აშშ: 5 ლ: ჰერკუსი, ელოფი, შუბერტი, ვან ცული, ხასიგიანი; 4 გ: ჰერკუსი; 2 ს: ჰერკუსი

იაპონია: 2 ლ: კურიჰარა, ოჰატა; 2 გ: კურიჰარა; 4 ს: კურიჰარა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 0 | 0 | +107 | 15 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 1 | +3 | 10 |
| ფიჯი | 2 | 0 | 1 | -14 | 9 |
| აშშ | 1 | 0 | 2 | -2 | 6 |
| იაპონია | 0 | 0 | 4 | -184 | 0 |

### C ჯგუფი

**25 ოქტომბერი**

**ინგლისი 35:22 სამოა**

ინგლისი: რობინსონი, ბოლშოუ, ებოტი (ქეთი), თინდოლი (ნუგერი), კოენი, უილკინსონი, დოუსონი; დალალიო, ბეკი, უორსლი (ვუდი), კეი, ჯონსონი, უაითი (ვიკერი), რეგანი (ტომპსონი), ლეონარდი

4ლ: ბეკი, ტექნიკური, ბოლშოუ, ვიკერი; 3გ: უილკინსონი; 2ს: უილკინსონი; 1ა: უილკინსონი

სამოა: 1ლ: სიტიტი; 1გ: ვაა; 5ს: ვაა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 0 | 0 | +110 | 14 |
| ს. აფრიკა | 2 | 0 | 1 | +74 | 10 |
| სამოა | 2 | 0 | 1 | +71 | 10 |
| ურუგვაი | 0 | 0 | 2 | -113 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 3 | -142 | 0 |

### D ჯგუფი

**25 ოქტომბერი**

**უელსი 27:15 იტალია**

უელსი: 3ლ: მ. ჯონსი, პარკერი, დავიდ ჯონსი; 3გ: ჰერისი; 3ს: ჰერისი

იტალია: 5ს: ვაკარუა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 3 | 0 | 0 | +209 | 15 |
| უელსი | 3 | 0 | 0 | +50 | 13 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | -46 | 8 |
| კანადა | 0 | 0 | 3 | -98 | 1 |
| ტონგა | 0 | 0 | 3 | -115 | 1 |

# ბაქოში გოგონები შეყვართ, თბილისში სტუმარს აფასებენ




*ამ უქმეებზე ვერის ბაღის დარბაზში უჩვეულოდ ბევრ მანდილოსანს ნახავდით. ტრიბუნებზე ძირითადად ქალბატონები და საქალბატონეები მოკალათებულიყვნენ, მოედანზე კი სულაც ერთადერთი მამაკაცი დატუნდულებდა – მსაჯი ზაზა მაჩალაძე. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ვერის ბაღში ამ უქმეებზე ქალთა კალათბურთი დუღდა, ჩვენი გოგოები აზერბაიჯანელებს ესპარინგებოდნენ*

**ამ ზაფხულს** საქართველოს ქალთა ნაკრები ბაქოს სტუმრობდა და იქაური „ნეფთჩი" ჯერ დაამარცხა, შემდეგ კი დამარცხდა. საპასუხოდ აზერბაიჯანელი ქალბატონები ამ შაბათ-კვირას ეწვივნენ თბილისს და აქაც იგივე სცენარი გათამაშდა, ჯერ ქართველებმა იძალეს, მერე კი აზერბაიჯანელებმა.

აზერბაიჯანელებიო, ვამბობთ, მაგრამ „ნეფთჩის" სამი რუსი და ერთი უკრაინელი ლეგიონერი ჰყავს, საკუთრივ ეს ფაქტი კი იმაზე მიანიშნებს, თუ რა სერიოზულობით ეკიდებიან ჩვენი მეზობლები ქალთა კალათბურთს და რომ სპორტის ამ სახეობაშიც გვარიანი ფული ჩაუდვიათ. „ნეფთჩის" რუს-უკრაინელი თინეიჯერი გოგოები იმიტომ მოშორებიან საკუთარ ოჯახს და სამშობლოს, რომ ბაქოში კალათბურთი ითამაშონ, ხოლო ეს სიამოვნება იაფი რომ არ დაუჯდებოდათ აზერბაიჯანელებს, ადვილი დასასკვნელია.

შაბათის მატჩი ისე დაიწყო, ნაადრევად მინდოდა წამოსვლა, ემანდ ქართველი ქალის ცრემლი არ ვნახო-მეთქი — „ნეფთჩი" 16:0 დაწინაურდა. თუმცა ნელ-ნელა ჩვენი გოგოებიც გამოცოცხლდნენ და მესამე ათწუთეულში ანგარიში გაათანაბრეს. ჩვენიანებში აშკარად გამოირჩეოდა მომცრო, თუმცა ზომიერად ჩაფსკვნილი ნანა ნემსაძე, რომელიც სოლო რეიდებსაც აწყობდა და შორიდანაც ჩუბინობდა.

თანაბარი დასკვნითი მეოთხედის ბოლოს ჩვენმა გოგოებმა იძალეს, ფარზე ტყუპი ჭურაძეები გადედოფლდნენ და საქართველოს ნაკრებმა 58:53 დაამარცხა ბაქოს „ნეფთჩი".

მატჩის შემდეგ „ლიდერ ტივის" შავტუხა ახალგაზრდა ჟურნალისტმა ინტერვიუც ჩამოართვა ჩვენების წითურკულულა ლიდერ ნანა ნემსაძეს.

სტუმრებისა არ იყოს, საქართველოს ნაკრებმაც ახალგაზრდებით ითამაშა, გამოცდილ კალათბურთელს და მათ შორის ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მსაჯ მაკა კუპატაძეს კვირას უნდა ებურთავა, მაგრამ ჩვენებმა რომ მოულოდნელად იმარჯვეს, მაკამ გადაიფიქრა მეორე დღეს მოედანზე გასვლა, სტუმრებს წაგებულებს ხომ არ გავუშვებთო. არც გაუშვიათ, საკვირაო მატჩი „ნეფთჩის" უნდა მოეგო და მოიგო კიდეც, საღამოს კი აზერბაიჯანელთა ნაბანკეტარი დელეგაცია ბაქოს გზას გაუდგა.

**ირაკლი ბერტაია**

# რუსთაველმა ბელგრადში ისროლა

## ნაცვლიშვილმა დიჟონი დაძრა



ვლადიმერ ბოისამ
ლიდერობა გაიხსენა

**ევროპაში** მოთამაშე ქართველთაგან ამ უქმეებზე ვინც კი მოედანზე გავიდა, ყველამ იყოჩაღა. ისე, ბებერი კონტინენტის უმაღლეს ლიგებში მობურთალი ქართველობა არც ისე ბევრია. ამ ჯერზე ორს მიეცა შანსი, ორიც ისვენებდა.

დავიწყოთ ადრიატიკის ლიგაში მოთამაშე ოლიმპიელი ვლადიმერ ბოისათი, რომელიც წინა ტურში გვარიანად შერცხვა — ლიუბლიანაში ხორვატიულ „ზადართან" 12 წუთში სამი ქულა შეაკოწიწა. ვოვამ, ეტყობა, იგრძნო ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას „ოლიმპიაში" აკისრია და ბელგრადში განსაკუთრებული მონდომებით შეუტია ლიგის ყოჩ „ცრვენა ზვეზდას". სერბული კლუბი ამ მატჩამდე უძლეველი გახლდათ და ბელგრადშიც არავის ეგონა, ცხრილის მეცხრეადგილოსანი „ოლიმპია" თუ მოსაგებად გაიწევდა. თუმცა ვლადიმერ ბოისას ჩაუქობამ მასპინძლები იძულებული გახადა, ეს მწარე რეალობა დაეჯერებინათ. რუსთავში გაზრდილი ყმაწვილი ბელგრადულ სარბიელზე ისე გრძნობდა თავს, როგორც ერთ დროს „ქიმიკოსთა" დარბაზში თანაქალაქელებთან ბურთაობისას. ბოისამ ულაპარაკოდ იკისრა სლოვენიური გრანდის ლიდერობა, ჩასაგდებს აგდებდა, წასართმევს ართმევდა და მოსახსნელს ხსნიდა.

ვოვამ ლომის წილი დაიდო ლიუბლიანელთა მიერ ბოლო მეოთხედში მოწყობილ შტურმში, რომელიც „ოლიმპიამ" 12:0 მოიგო, 82:73 დაწინაურდა და გამარჯვებამდეც არხეინად მივიდა.

საფრანგეთში კი კვლავ აოცებს ხალხს ვატო ნაცვლიშვილის „დიჟონი". მოკრძალებული ტრადიციების მქონე დიჟონელები ჯერაც დაუმარცხებლები არიან ფრანგულ პროფლიგაში. ამჯერად მათ სტუმრად „რეიმსი" დააჩოქეს.

ნაცვლიშვილი ამჯერადაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო, 32 წუთში 18 ქულა და 5 მოხსნა მოიხვეჭა. ხუთიდან ხუთივე მატჩის მოგება „დიჟონის" გარდა, კიდევ ორმა გუნდმა შეძლო და მათ შორის გიორგი მდივნის „პო ორტეზმა". პოელებმა ამჯერად „როანი" დაამარცხეს სტუმრად. ქართველი კვლავ არ გამოჩენილა სათადარიგოთა შორის.

მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმა" იტალიურ სერია A-ში წინა კვირაში ორი გამარჯვება მოიხვეჭა, მაგრამ ორივე უქართველოდ. „მანო" ორჯერვე სათადარიგო იყო, „ბენეტონი" კი მაღლა-მაღლა მიიწევს ცხრილში.

ოკეანგაღმა კი დასრულდა საგამოფენო მატჩები და ქართველებს არაფერი აქვთ დასაკვეხნი. ნიკა ცქიტიშვილი ჯერაც ამოვარდნილ თითს იშუშებს, ვლადიმერ სტეფანიას პორტლენდური დებიუტი კი ცოტა ხნით გადაიდო. „ბლეიზერსის" მწვრთნელმა მორის ჩიკსმა თქვა, „ფინიქსთან" სტეფანიას არ ვათამაშებ, ოთხშაბათს კი სეზონის გახსნის მატჩში აუცილებლად გავიყვან „იუტასთანო".

მესამე ნბა-ელი ზაზა ფაჩულია ტრავმის შემდეგ ჯერაც ვერ ჩადგა ფორმაში. მოყვანილი ცხრილიდანაც კარგად ჩანს, რომ „ორანდოს" ქართველ ცენტრს უჭირს, საგამოფენო მატჩები კი ამოიწურა. შეიყვანენ თუ არა ფაჩულიას „ორლანდოს" ძირითად შემადგენლობაში, კვირას გაირკვევა.

**ირაკლი ბერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | თ | წ/ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ბენეტონი | ტრეისტი | შ | 104:4 | არ უთამაშია | | | 3 | 16,6/7,3 | 7 |
| | | კალაბრია | შ | 92:78 | არ უთამაშია | | | 3 | 16,6/7,3 | 5 |
| **საფრანგეთი. PRO A** | | | | | | | | | | |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | რეიმსი | ს | 84:80 | 32 | 18 | 5 | 5 | 25/12,8 | 1 |
| გიორგი მდივანი | პო ორტეზი | როანი | ს | 82:74 | განაცხადში არ იყო | | | 1 | 3/2 | 2 |
| **ადრიატიკის ლიგა** | | | | | | | | | | |
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ცრვენა ზვეზდა | ს | 95:90 | 33 | 21 | 4 | 5 | 26,5/12 | 7 |
| **NBA. საგამოფენო მატჩები** | | | | | | | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენერი | ინდიანა | შ | 106:93 | ტრავმირებულია | | | 2 | 21/6 | - |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | ატლანტიკა | შ | 83:91 | 12 | 0 | 1 | 3 | 11/1,5 | - |
| | | იუტა | შ | 84:93 | 11 | 2 | 1 | 4 | 11/2 | - |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; თ — თამაშების რაოდენობა;
წ/ქ — ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები საშუალოდ; ა — გუნდის ადგილი ცხრილში; ს — სტუმრად; შ — შინ

*გადაღლილი რომ იყო, უთქმელადაც ჩანდა. ბოლო ორი წელი ვერა და ვერ ააწყო გუნდი, თანაც ხან ვინ დაემტვრეოდა, ხან ვინ. სტაჟიანი ვარსკვლავები რომ შემოაკლდა, ახალბედებში დაიწყო ძებნა. არადა, ოცი წელი დრაფტისკენ არ გაუხედავს. მძიმე ხასიათის კაცად კი იცნობდნენ, მაგრამ დიდების დარბაზის მომავალი წევრები მის ხელქვეით თამაშს პატივად თვლიდნენ, ერთად იგებდნენ რეგულარულ ჩემპიონატებს და პლეი ოფებს*

# შრაილო რეალობა

## ნბა-მ პატ მასწავლებელი დაკარგა

**მისი** შემართება და დიდება დრომ თანდათან გაცვითა. ორი უპლეიოფო სეზონი და გუნდის შენების თავიდან დაწყება უგარანტიო მომავლით. ყოველდღიური დაძაბულობისთვის ის მოხუცდა. 58 წლისა მოიყარა და ერთ მშვენიერ დღეს, თავისი 22-ე სეზონის დაწყების წინ, პატ რაილიმ თქვა — „მე წავედი"...



ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი პატ რაილი ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატებში მოგებული 1110 თამაშით (მე-2 შედეგი ნბა-ს ისტორიაში) და 4 ჩემპიონობით (მე-4 შედეგი) დაზურგული ანებებს თავს ცხოვრების მთავარ საქმეს, მწვრთნელობას. ის დარჩება „მაიამი ჰითში", რომელსაც 1995 წლიდან მეთაურობდა, თუმცა „ჰითის" ხელმძღვანელობას კაბინეტიდან გააგრძელებს. რაილი გადადგა მწვრთნელობიდან, მაგრამ კვლავ რჩება „მაიამის" პრეზიდენტად.

„მაიამის" კი რაილის პირველი ასისტენტი, მისსავე ფრთებქვეშ გამოზრდილი სტენ ვან განდი გაწვრთნის. სტენ ვან განდი ცნობილ სპეციალისტ ჯეფ ვან განდის უფროსი ძმაა. ჯეფი ახლა „ჰიუსტონ როკიტსშია", მანამდე კი სახელი „ნიუ იორკ ნიქსის" მართვით გაითქვა. თითქოს ბედის ირონიაა, რომ სტენის დარად ჯეფიც პატ რაილის მემკვიდრედ ჩაითვლება. „ნიუ იორკს" ხომ 1994 წლამდე სწორედ პატ რაილი წვრთნიდა, მისი წასვლის შემდეგ კი დიდი მენტორის სკამზე ჯეფი დაჯდა.

ასეა, პატ რაილი თავმომწონე და ტრაბახა მწვრთნელი რომ ყოფილიყო, სწორედაც ეთქმოდა, თაობები და ოჯახები გამიზრდიაო.

პატ რაილი ორი წელი ჩვენებურ ვლადიმერ სტეფანიასაც ზრდიდა...

### ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

24 ოქტომბერი
ფლორიდა 3:4 მინესოტა
პიტსბურგი 1:2 ნიუ ჯერსი
დიტროიტი 4:0 დალასი
კალგარი 1:2 სენტლუისი
ანაჰაიმი 2:5 ბუფალო

25 ოქტომბერი
ატლანტა 2:3 ფლორიდა
აილენდერსი 7:2 პიტსბურგი
მონრეალი 2:6 ოტავა
რეინჯერსი 3:1 დიტროიტი
ტორონტო 4:1 ვაშინგტონი
კოლუმბუსი 2:3 დალასი
ფილადელფია 4:4 კაროლინა
ნიუჯერსი 2:5 ბოსტონი
ტამპა 3:2 მინესოტა
ნეშვილი 3:5 კოლორადო
ედმინტონი 2:4 კალგარი
ლოს ანჟელესი 2:3 ჩიკაგო
სან ხოსე 4:4 ფინიქსი

26 ოქტომბერი
ანაჰაიმი 1:1 ჩიკაგო
კოლორადო 1:3 ბუფალო
ვანკუვერი 3:3 ფინიქსი

# ზედმეტი არ მოგვივიდეთო

## ქართველებს ჩემპიონობა და თასი დიდ ფუფუნებად ჩაუთვალეს

**შაბათ-კვირას** ალმა ათაში „ბერძენ-რომაელთა“ შორის მსოფლიოს თასის გათამაშება გაიმართა. მასში მონაწილეობა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავგამოჩენილმა ექვსმა ნაკრებმა მიიღო, მათ შორის ჩვენმა გუნდმაც, რომელმაც ყაზახეთის საგზური შარშან მოსკოვში მოგებული ვერცხლის მედლით მოიპოვა. თუმცა მას შემდეგ ბევრი დარჩიას გუნდმა ფრანგულ კრეტეიში მსოფლიოს ჩემპიონობითაც გაიხარა და თასზე უმთავრესი ფავორიტის რანგში ჩავიდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავს ტურნირზე ჩვენი ნაკრები პირველად გამოვიდა და დებიუტი მესამე ადგილით აღნიშნა.



რამაზ ნოზაძე

გათამაშება წრიული სისტემით ჩატარდა. ამერიკას, თურქეთსა და ეგვიპტეს ქართველებმა შანსი არ დაუტოვეს, მაგრამ რუსეთთან და ყაზახეთთან დაძაბულ ბრძოლებში ერთნაირი ანგარიშით 3:4 დამარცხდნენ. კულუარული ინფორმაციით, ამ დაპირისპირებებში უმნიშვნელოვანესი როლი მსაჯებს უთამაშიათ, ხოლო საქართველოს ნაკრების მისამართით ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გადაკვრითაც ოქმულა, ამდენი წარმატება თქვენთვის ცოტა ზედმეტი ხომ არააო.

მართალია, მსოფლიოს თასი გუნდური შეჯიბრია, მაგრამ აუცილებლად აღნიშვნის ღირსია მუხრან ვახტანგაძისა (84კგ) და რამაზ ნოზაძის (96კგ) ალმასთური გამოსვლა. მათ ხუთივე მეტოქის დამარცხება მოახერხეს. განსაკუთრებულ ქებას ვახტანგაძე იმსახურებს, რომელიც თითქმის შვიდი თვე, ყველა სერიოზულ ტურნირს ტრავმით ჭიდაობს. მართალია, ოლიმპიურ პრიზიორსა და ორი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონს ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მედალი არ მოუგია, მაგრამ თავის წონაში რომ მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია, ამას ყველა სპეციალისტი ერთხმად ეთანხმება. მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ რამაზ ნოზაძის გამარჯვებებიდან კი ყველაზე გამოსარჩევი ოქტომბრის დამდეგს მისი გამამწარებელი ეგვიპტელის კარამ გაბერ იბრაჰიმის უპრობლემოდ ძლევაა. ფრანგულ ნახევარფინალში მარცხისთვის ახალგაზრდა ქართველმა ფალავანმა რევანში დაპირებისამებრ, მალევე აიღო.

საქართველოს ნაკრები შინ დილაადრიან დაბრუნდა, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასის მომავალ გათამაშებას 2004 წლის 24-25 ოქტომბერს თბილისი უმასპინძლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ამბავ-ხაბარი

**ლუქსემბურგული** ტურნირის ფინალში 20 წლის ბელგიელმა კიმ კლაისტერსმა ამერიკელ ჩანდა რუბინს 6:2, 7:5 აჯობა და წლის მერვე ტიტულის მოხვეჭასთან ერთად ქალთა რეიტინგსიის პირველობაც დაიბრუნა. გეხსომებათ, პირველობა კიმმა წინა კვირას დაუძინებელ თვისტომ ჟუსტინ ენენ-არდენს დაუთმო. რაკილა ჟუსტინმა, ვინაც ლუქსემბურგის შარშანდელი ჩემპიონი გახლდათ, წლეულს იქ ჩასვლა ტრავმის გამო იუარა, სათანადო ქულებიც მოისაკლისა და ვეღარც სეფე ჩოგანი დაინარჩუნა. სხვათა შორის, აწ უკვე თვრამეტტიტულოსან კლაისტერსს კარიერის პირველი ჯილდო ლუქსემბურგშივე, 1999 წელს მოუგია. მან წლეულს უკვე 14 ფინალში ითამაშა, რაც ბოლოჯერ ათი წლის წინ შტეფი გრაფმა შეძლო. და კიდევ — ქალთა წლევანდელ მეტიტულეთა ჩამონათვალს რვარვა ალაფით სწორედ კიმი და ჟუსტინი მოთავეობენ.

❖ ❖ ❖

**78-ე საწყვილო** ტიტული მიითვალა და აქამომდელ ერთპიროვნულ რეკორდოსანს, ჰოლანდიელ ტომ რიკერს გაუტოლდა 32 წლის ლეგენდარული სიდნეელი ტოდ ვუდბრიჯი, ვინაც შვედ იონას ბიორკმანთან ერთად სტოკჰოლმის ღია პირველობის ფინალში 6:3, 6:4 სძლია უეინართურსისა და პოლ ჰენლის წყვილს. ეს ვუდბრიჯ-ბიორკმანის მეოთხე საამსეზონო ტიტულია, მეხუთის მოპოვებას კი — რაიც იმავდროულად ვუდბრიჯის მიერ რიკერის გადასწრებასაც აღნიშნავს — ისინი ან მომავალ კვირაში პარიზულ მასტერსტურნირზე, ანაც მოგვიანებით მეწყვილეთა მასტერსთასზე შეეცდებიან.

❖ ❖ ❖

**სტოკჰოლმშივე** მოინაგრა კარიერის პირველი საეიტიპიო ჯილდო 21 წლის ფლორიდელმა მარდი ფიშმაც, ვინაც ფინალში შვედი რობინ სოდერლინგი 7:5, 3:6, 7:4 დაამარცხა. ეს ფიშის მეოთხე საეიტიპიო ფინალი გახლდათ და აქედან — პირველი ჭერქვეშა. სათქმელია ისიც, რომ ის გახდა მეექვსე ამერიკელი კაცმეჩოგნე, ვინაც წლეულს რაგინდარა ტურნირზე გაიჯეჯილა, ამდენ ამერიკელს კი 1995 წლის მერე ვეღარ მოეგო.

❖ ❖ ❖

**როლან გაროსის** სამგზის მაოხარმა ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა სანკტპეტერბურგულ ხალიჩაზე ნაჩასპანდევ ფინალში სომეხ სარგის სარგსიანს 6:4, 6:3 მოუგო და კარიერის მეცხრამეტე ტიტული მიითვალა. ამგვარმა გარჯამ ის ღია ეპოქათა ერაში ყველაზე მეტგზის ტიტულოსანთა შორის 32-ე ადგილზე, ტომას ენკვისტის გვერდით შეაყენა. საინტერესოა, რომ ბოლოს დროს ჩაუქ მეთიხნარეთაგან შევიწროვებული გუგა, ვისაც პირველი რვა ტიტული და ჯამური ცხრამეტიდან ცამეტი თიხნარზე მოუხაფავს, ბოლო დროს უფრო მაგარსაფარსა ან ხალიჩაზე გამოირჩევა. ამის საილუსტრაციოდ ისიც იკმარებს, რომ ბოლო შვიდი ფინალი მან სწორედ ამ საფარებზე ითამაშა. სხვაფრივ — ეს პირველი სახალიჩო და მეორე საჭერქვეშო ტიტული გახლავთ.

❖ ❖ ❖

**წლეულს** ამობრწყინებულმა არგენტინელმა გილერმო კორიამ თავისი მეხუთე საამსეზონო და მეექვსე საკარიერო ტიტული ისე მოიპოვა, ბაზელურ ფინალში ჩოგანიც არ გაუნძრევია. მისმა თვისტომმა, ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა დავიდ ნალბანდიანმა მარცხენა მაჯა მოისატკივრა და ტიტული უბრძოლველად უბოძა. ამ წარმატებამ 631-ქულოსანი კორია ჩემპიონთა რბოლაში მეხუთედან მეოთხე ადგილზე აანაცვლა. ის ახლა მხოლოდ ხუან კარლოს ფერეროს (826), ენდი როდიკს (822) და როჯერ ფედერერს (700) ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ ამათ და კიდევ ანდრე აგასისა (605) და რაინერ შუტლერს (576) ჰიუსტონურ რვაკაცა მასტერსთასზე მონაწილეობა იმ კვირამდეც ჰქონდათ დაბევებული. იმ კვირაში კი კიდევ ერთი ფინალისტი გაირკვა — კარლოს მოიას თუმც არ უჩოგნავია, მაგრამ რაკილა მეათე ადგილზე მდგომმა სებასტიან გროჟანმა (321) სანკტპეტერბურგში მეოთხედფინალშივე წააგო, მისი 436-ქულიანი მონაგარი უკვე შეუცილებელი გახდა. დარჩენილი მერვე ადგილისთვის პარიზულ მასტერსთასზე ეგევე ნალბანდიანი (392), მარკ ფილიპუსისი (322), ეს-ესაა ხსენებული გროჟანი (321), პარადორნ შრიჩაფანი (304) და იუნეს ელ აინაუი (295) იბრძოლებენ.



WRC

**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. XIII ეტაპი კატალონია**

# ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი, თუ ძმა გყავს პანიზიელი

**სენსაციურად** დასრულდა წლევანდელი სეზონის ბოლოსწინა, ესპანური ეტაპი და სატურნირო ვითარებაც უკიდურესად ჩაიხლართა. საჩემპიონო შანსშერჩენილ ეკიპაჟებს შორის ისეთი სიმჭიდროვეა, რომ ვთქვათ, კარლოს საინსი, რომელსაც გუშინწინ შეეძლო, ვადამდე მოეპოვებინა ტიტული, ორი კვირის შემდეგ ბრიტანეთში წაფორხილების შემთხვევაშიც იქნებ სულაც მეოთხე ადგილზე აღმოჩნდეს.



ძმები პანიზების „პეჟომ“ ესპანეთში მეორედ გაიმარჯვა

არადა, გასაგებია, როგორ ეწადა „მატადორს“ თავის სამშობლოში გამარჯვება, მაგრამ დასკვნით, 22-ე ჩქაროსნულ უბანზე მის „სიტროენს“ ელექტროობა გაეთიშა და ორიოდ ქულასლა დასჯერდა. კატალუნიის 39-ე რალის მონაწილე 47 ეკიპაჟს ასფალტზე სამ დღეში 1553 კილომეტრი უნდა გაევლო, აქედან მეოთხედი — 381 კილომეტრი ჩქაროსნული იყო. რბოლის მსვლელობაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა თავსხმამ, თუმც წინა, „კორსიკის რალისგან“ განსხვავებით, ამჯერად მხოლოდ ერთი მსუბუქი ავარია მოხდა.

თავიდან კორსიკაში გამარჯვებულ პეტერ სოლბერგის და ფილ მილსის „სუბარუ“ დაწინაურდა, მაგრამ უკვე მეორე სპეცმონაკვეთის შემდეგ ლიდერობა ფრანგმა სებასტიენ ლოებმა და მისმა მონაკოელმა თანამძღოლმა დანიელ ელენამ იგდეს ხელთ. ეს ინტერწყვილი საფრანგეთშიც კარგა ხანს ინარჩუნებდა მეწინავეობას, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში „სიტროენი“ გზისპირა პატარა ხრამში ჩაუცურდათ და საერთოდ უქულოდ დარჩნენ. მათ ვერც ახლა შეძლეს რბოლის მოგება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ჩქაროსნული უბნის წინ თითქმის ნახევარი წუთით უსწრებდნენ ჟილ და ერვე პანიზების „პეჟოს“ და გამარჯვებაც უკვე ჯიბეში ედოთ, მაგრამ წვიმაში არასწორად შერჩეულ საბურავების მიზეზით 40 წამი დაკარგეს და ესპანეთის დიდი პრიზი ზედიზედ მეორედ ფრანგმა ძმებმა დაისაკუთრეს, თუმც ამ წარმატებამ ისინი სატურნირო ცხრილში დიდად ვერ წასწია.

ხელმოცარული ლოები კი იმიტომ დგას საინსზე წინ, რომ ქულების თანაბრობისას უპირატესობა მეტი რბოლის მომგებს ენიჭება. ამ მხრივ ანგარიშია 3:1 „სების“ სასარგებლოდ.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) | 3სთ; 55.09,4 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 13,0 |
| 3 | მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 13,6 |
| 4 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) | 55,4 |
| 5 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 1.10,8 |
| 6 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 1.29,1 |
| 7 | კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) | 1.33,0 |
| 8 | ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | 1.55,1 |

**საერთო ჩათვლა**

1. სებასტიენ ლოები 63 ქულა; 2. კარლოს საინსი 63; 3. პეტერ სოლბერგი 62; 4. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) 58; 5. მარკო მარტინი 49; 6. მარკუს გრონჰოლმი 46; 7. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი) 40; 8. ჟილ პანიზი 27; 9. ფრანსუა დიუვალი 26; 10. ტომი მაკინენი 24

**კონსტრუქტორთა თასი**

სიტროენი 147 ქულა, პეჟო 142, სუბარუ 93, ფორდი 89, შკოდა 21, ჰიუნდაი 12


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge